ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 28 ივნისი, 2019 №151 (8105) ფასი: 60 თეთრი

დემურ გიორხელიძე: „ასე თუ გაგრძელდა, ლარის კურსი 3-ს გასცდება“

გვ.6

25 ივნისიდან

ჟიულ ვერნი

20 000 ლიე წყალქვეშ

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

„ოცნებაში“ შს მინისტრის სავარძლის დაკავება რამდენიმე პირს უნდა

გვ.2

გიორგი გახარია: „გამოძიების დასრულებამდე არ გადავდგები“

გვ.2

მამუკა ბახტაძე: „დიახ, სამწუხაროდ, ჩვენ ფეხი დაგვიცდა“

ბექა ნაცვლიშვილი: „ხელისუფლება დამარცხდა, როცა თავის მოქალაქეებს რეზინის ტყვიები ესროლა“

გვ.3

ივანიშვილმა ნიკა მელიას დაჭერა ვერ გაბედა

გვ.3

გვ.5

მირიან მირიანაშვილი: „ივანიშვილსა და ბოკერიას რუსული სცენარი საზოგადოების დასავლურმა განწყობამ ჩაუშალა“

სამართალი გვ.7

ვიტალი საფაროვის მკვლელობისთვის გიორგი სოხაძესა და ავთანდილ კანდელაკიშვილს 15-15 წელი მიესაჯათ



მანანა ჩოხელი ხის ფიცარზე მოსწავლეებთან იჯდა, რომლებიც წამოდგნენ და მასწავლებელი 25-მეტრიან ხევში გადავარდა

ხულოში მკვლელობაში ბრალდებულს პატიმრობა შეუფარდეს

ეკონომიკა გვ.6

პირველი ქართული ელექტრომობილის დიზაინს ზვიად ციკოლია შექმნის

კომპანიებს, რომლებიც თევზის ფქვილს აწარმოებენ, ნებართვის აღების ვალდებულება ექნებათ

„როსსელხოზნადზორი“ ქართული მცენარეული პროდუქტის იმპორტის აკრძალვას არ აპირებს

ISSN 1987-9385

5 რისთვის გამოიკვლიეს რუსეთში თბილისის მიტინგის მონაწილე გოგოს ვინაობა?

4 „ევროსაბჭოში მიაჩნიათ, რომ რუსეთის გარიყვა უარეს შედეგს მოიტანს“

3 რუსი ტურისტების შემცირება საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ვერ იქონიებს

4 გადაყრილი კულტურული მემკვიდრეობა — ზაქარია ქუცნაშვილი ახლად ნაყიდ შენობებს არემონტებს

მამუკა ბახტაძე: „დიახ, სამწუხაროდ, ჩვენ ფეხი დაგვიცდა“

შორენა მარსაგიშვილი

გავრილოვის ღამიდან ერთი კვირის თავზე საქართველოს მთავრობის მეთაური მედიის წინაშე წარდგა. არადა, მამუკა ბახტაძე გუშინ, 27 ივნისს, პარლამენტში უნდა გამოსულიყო, თუმცა ბოლო მომენტში მისი იქ გაშვება გადაიფიქრეს და პრემიერმა დეპუტატების ნაცვლად ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა.

ისე, მამუკა ბახტაძისთვის უმჯობესი იქნებოდა, თუ კიდევ რამდენიმე ხანი იქნებოდა უჩინრად. საზოგადოებასა და ოპოზიციას ის საერთოდ აღარ ახსოვდა, გუშინ, 27 ივნისს კი ისეთები თქვა, ხალხს თავი ძალიან საფუძვლიანად შეახსენა.

ალბათ, ყველას გახსოვთ 20 ივნისის ღამეს მის მიერ გაკეთებული განცხადება. საქართველოს მთავრობის მეთაურმა ამაყად გვითხრა, რომ „ოცნების“ მთავრობა ის მთავრობაა, რომელიც საკუთარი ხალხის წინააღმდეგ რეზინის ტყვიებსა და ცრემლსადენ გაზს არასდროს გამოიყენებს.

მთავრობის მეთაურის ამ განცხადებიდან ზუსტად 7 წუთში რუსთაველზე საშინელება დაიწყო, ცრემლსადენი გაზიც გამოიყენეს, რეზინისა და კაუჩუკის ტყვიებიც და კიდევ ხალხზეც ინადირეს.

სისხლიანი ღამიდან ერთი კვირის თავზე პრემიერი ამბობს, რომ მომხდარზე პასუხისმგებლობა სააკაშვილს უნდა დაეკისროს, ამასთან, გვიმტკიცებს, რომ საქართველოს მთავრობაში და მთლიანად „ქართულ ოცნებაში“ არ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც სკამებს გამოეკიდებიან.

– ჩვენი პოლიცია არ გეგმავდა და არც ჰქონდა მსგავსი დავალება მიღებული, რაც ფაქტით დასტურდება. რამდენიმე საათის განმავლობაში, როდესაც მიმდინარეობდა ძალადობა ჩვენს პოლიციელებზე, მათ ფიზიკურად უსწორდებოდნენ, პოლიცია ძალას არ იყენებდა. პოლიციამ ეს გადაწყვეტილება მიიღო იმ მომენტში, მყისიერად, როდესაც ეს კორდონი ვერ უზრუნველყოფდა უსაფრთხოებას. პოლიციელების სიცოცხლე და ჯანმრთელობა დადგა საფრთხის ქვეშ. მათ მოუწიათ სპეციალური საშუალებების გამოყენება, – აღნიშნა მთავრობის მეთაურმა.

მას რუსთავი 2-ის ჟურნალისტმა ჰკითხა, თუ ვინ იღებს შს მინისტრ გიორგი გახარიას გათავისუფლებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას, ამაზე მამუკა ბახტაძემ აღნიშნა, რომ მინისტრთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას ის იღებს.

– გახარიასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, გადაწყვეტილებას ვიღებ მე. გიორგის ფასეულობათა სისტემა და მორალი საზოგადოებამ კარგად იცის. ჩვენს კაბინეტში, ისევე, როგორც პოლიტიკურ გუნდში, არ არ გვყავს არც ერთი ადამიანი, რომელიც სკამს გამოეკიდება, – განაცხადა ბახტაძემ.

პრემიერს მის მიერ დარბევის ღამეს გაკეთებული განცხადებაც გაახსენეს. ეს განცხადება მასაც კარგად ახსოვს და ზუსტად აქვს დათვლილი, თუ რა დრო გავიდა ამ განცხადების გაკეთებიდან დარბევის დაწყებამდე.

– ამ განცხადების გაკეთებიდან რამდენიმეწუთიანი სხვაობა შეიძლებოდა ყოფილიყო და, ბუნებრივია, ეს ძალიან კარგად მახსოვს. მე ჩემს სიტყვაშიც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, მოვლენები იცვლებოდა ელვისებური სისწრაფით. რამდენიმე შეტევა განხორციელდა ჩვენს პოლიციელებზე, მით უმეტეს, თქვენ თუ იქ იყავით და ობიექტურად აფასებთ, დაინახავდით, რაც ხდებოდა, როდესაც პასიური კორდონი, რომელიც რამდენიმე საათის განმავლობაში იდგა, ვერ აჩერებდა ამ აგრესიას, პოლიცია იძულებული იყო, გამოეყენებინა ლეგიტიმური ძალა, – აღნიშნა მთავრობის მეთაურმა.

მისი განცხადებით, ოპოზიცია ბოლო შვიდი წლის განმავლობაში ჩასაფრებულის პოზიციაში იყო. ბახტაძე ამბობს, რომ მმართველ გუნდს ფეხი დაუცდა, როდესაც ქვეყანაში და შემდეგ პარლამენტში რუსი დეპუტატების შესვლა დაუშვა, რითაც ჩასაფრებულებმა ისარგებლეს.

– შვიდი წელი ისინი ამზადებდნენ და ჩაუსაფრდნენ საკუთარ ქვეყანას, საკუთარ სამშობლოსა და საკუთარ ხალხს. ისინი ელოდნენ, რომ ვიღაცას ფეხი დაუცდებოდა და დიახ, სამწუხაროდ, ჩვენ ფეხი დაგვიცდა.

რაც ჩვენ 20 ივნისს ვიხილეთ, სრულიად მიუღებელი იყო ნებისმიერი ქართველისთვის. ერისთვის, რომელიც მთელი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში იბრძვის თავისი მთავარი ფასეულობისთვის, თავისუფლებისთვის, ეს იყო უმძიმესი სანახავი. ამან გამოიწვია გულწრფელი ემოციები ჩვენს მოქალაქეებში, გულწრფელი პროტესტი და თითოეული ჩვენგანი არის ამ პროტესტისადმი სოლიდარული.

ჩვენ იმავე დღესვე მივეცით ამას ძალიან მკაცრი რეაქცია. ეს ასამბლეა თუ კონფერენცია იქნა შეწყვეტილი და ყველა დელეგაციამ დატოვა თბილისი. შემდეგ საღამოს ჩვენ ამავე დროს ვიხილეთ გულწრფელი პროტესტი ჩვენი მოქალაქეების. ეს იყო გულწრფელი პროტესტი თითოეული ადამიანის, თითოეული ახალგაზრდის, მაგრამ, ამავე დროს, ჩვენ ვიხილეთ, რომ დესტრუქციული ძალა ჩაერთო და ყველამ დაინახა, რომ ეს დესტრუქციული ძალა ცდილობდა, თავისი პროვოკაციული მიზნებისთვის გამოეყენებინა ეს გულწრფელი პროტესტი, – ამბობს პრემიერი.

მან კომენტარი ივანიშვილის შეთავაზებაზეც გააკეთა. „ოცნების“ მამა პროპორციულ სისტემას დათანხმდა.

პრემიერი მიიჩნევს, რომ პროპორციულ სისტემაზე გადასვლა განამტკიცებს საქართველოში საპარლამენტო რესპუბლიკისა და საპარლამენტო დემოკრატიის იდეას.

– „ქართული ოცნება“ ამ გადაწყვეტილებას ვუყურებთ, როგორც მეორე პრინციპულ ნაბიჯს იმ ხედვის რეალიზაციასთან დაკავშირებით, რომელიც ჩვენ გვაქვს. ეს არის მეორე ნაბიჯი, რომელიც განამტკიცებს საქართველოში საპარლამენტო რესპუბლიკისა და საპარლამენტო დემოკრატიის იდეას. აქედან გამომდინარე, ბიძინა ივანიშვილის ეს ნაბიჯი მართლაც არის უპრეცედენტო. ძალიან მნიშვნელოვანი შედეგების მატარებელი იქნება, რომ ერთ-ერთი ყველაზე რთული გამოწვევა, რომელიც ქვეყანაში გვაქვს, არის პოლარიზაცია, რომელიც საზოგადოებაში შეინიშნება. ის პრობლემები, რომლებიც დგას ჩვენი ქვეყნის წინაშე, მოითხოვს ერთსულოვნებას, კონსოლიდაციას.

სამწუხაროდ, ეს პოლარიზებული გარემო შექმნა ისევ მიხეილ სააკაშვილმა, ნაციონალურმა მოძრაობამ მათ მიერ მართული მედიასაშუალებებით. ის განცხადებები, ზიზღის ენა ემსახურება ერთს, რომ მოხდეს საზოგადოების კიდევ უფრო მეტი ფრაგმენტაცია. პროპორციულ არჩევნებსა და ბარიერზე მოვისმინე განცხადებები, რომ ეს იმოქმედებს გადაწყვეტილების მიღების ეფექტურობაზე, დროზე, თუმცა საპარლამენტო დემოკრატიის იდეის განხორციელებისთვის ეს სწორი ნაბიჯი იყო.

ეს არის ისტორიული მნიშვნელობის ინიციატივა. მე ვერ მოვისმინე ვერანაირი არგუმენტი ვერც ერთი პოლიტიკური ძალისგან, რატომ არ უნდა წავიდეთ ამ გზით. ერთადერთი, ვინც ამას ეწინააღმდეგება, არის მსჯავრდებული სააკაშვილი, რადგან ამ ძალისთვის არანაირი დემოკრატიული პროცესი ფასეულობას არ წარმოადგენს. მათ აქვთ რევანშისტული გეგმები. როცა ჩვენ ვსაუბრობთ დემოკრატიულ პროცესზე, სამართლიან არჩევნებზე, ფორმულაც არის ძალიან მკაფიო – ყველა მინუს მსჯავრდებული სააკაშვილი, – განაცხადა ბახტაძემ.

მამუკა ბახტაძის პრესკონფერენცია, ეტყობა, შუშის სასახლეში არ მოეწონათ და იქ მისი გადადგომის აუცილებლობაზე ალაპარაკდნენ. „ოცნებასთან“ დაახლოებული წყარო „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, რომ გუშინ, 27 ივნისს, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ დღეს, 28 ივნისს, ბახტაძემ თანამდებობა უნდა დატოვოს და, რამე თუ არა შეიცვალა, ახალი პრემიერი გაგვიხდება მოსაძებნი.

„ოცნებაში“ შს მინისტრის სავარძლის დაკავება რამდენიმე პირს უნდა

გიორგი გახარია: „გამოძიების დასრულებამდე არ გადავდგები“

შორენა მარსაგიშვილი

დღეს, 28 ივნისს, შს მინისტრი საქართველოს პარლამენტში უნდა გამოსულიყო და 20-21 ივნისის სისხლიან ღამეზე ესაუბრა. ოპოზიცია პირობას დებდა, რომ მას საკანონმდებლო ორგანოში არ შეუშვებდა. ამის პირობას იძლეოდა საზოგადოების ის ნაწილიც, რომელიც რუსთაველზე აქციებს მართავს და რომელიც გავრილოვის ღამეს დაარბიეს.

გუშინ, 27 ივნისს, ცნობილი გახდა, რომ შს მინისტრი პარლამენტში სიტყვით აღარ გამოვიდოდა. პარლამენტში გამოსვლაზე უარი მთავრობის მეთაურმაც განაცხადა. მმართველი პარტიის კულუარებში ამბობენ, რომ ეს გადაწყვეტილება ბიძინა ივანიშვილთან შეთანხმების შემდეგ იქნა მიღებული, რომელსაც 27 ივნისს ამერიკელებთან ძალიან მძიმე და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა.

ამ საუბრის დროს გადააფიქრებინეს მას ოპოზიციონერების დაჭერა და პირობა დაადებინეს, რომ 20-21 ივნისის ღამის მოვლენები დეტალურად იქნება გამოძიებული.

„ოცნებასთან“ დაახლოებული წყარო „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, რომ ამ მოვლენების გამოძიება ყველაზე მეტად გიორგი გახარიას უნდა და გამოძიების მიმდინარეობისას ისეთი რამეები შეიძლება გამოიკვეთოს, რომ ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს საციხოდ გაუხდეს საქმე.

ამ საქმეზე გახარია რომ სერიოზული გამოძიების ჩატარებას აპირებს, ამაზე მან მედიასთან გამართულ შეხვედრაზეც ისაუბრა. გუშინ, 27 ივნისს, მან განაცხადა, რომ გამოძიების დასრულებამდე თანამდებობას არ დატოვებს.

არადა, ოპოზიციის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა მისი გადადგომაა. სახელისუფლებო კულუარებში კი ამბობენ, რომ ოპოზიციაზე მეტად გახარიას გადადგომა „ოცნების“ წევრების ნაწილს სურს.

ჩვენთვის ცნობილი გახდა იმის შესახებაც, რომ მმართველ გუნდში რამდენიმე პიროვნება ჩალიჩობს უკვე, რომ შს მინისტრის სავარძელი დაიკავოს.

ეს ინფორმაცია გახარიამაც კარგად იცის და ამიტომაც ამბობს, რომ გამოძიების დასრულებამდე არ წავა.

წასვლას ის იმ შემთხვევაშიც აპირებს, თუ გუნდისთვის დამაზიანებელი გახდება, ამტკიცებს, რომ საკუთარ იმიჯზე არასდროს უზრუნია.

– არასდროს მიზრუნია ამ იმიჯზე, იმიტომ, რომ ჩვენი პრობლემაა სწორედ ის ბიუროკრატია და ის პოლიტიკური სტატუსის მატარებელი ფიგურები, რომლებიც, პირველ რიგში, ზრუნავენ იმიჯზე. ეს არ არის ჩემი ზრუნვის საგანი დღეს.

როგორც კი მე, როგორც ამ პოზიციიდან მოქმედი ადამიანი, გუნდისთვის გავხდები დამაზიანებელი, ჩვენ როგორმე ამ საკითხს გადავწყვეტთ, თუმცა კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა – ჩემი აქ ყოფნის ერთ-ერთი მიზეზი და მიზანი დღეს გახლავთ, რომ მოვახდინო სრული რეალიზება იმ პასუხისმგებლობის, რომელიც არაა მხოლოდ ჩემი პასუხისმგებლობა. ეს არის მთლიანად შსს-ს პასუხისმგებლობა.

ყველაფერი, რაც ჩვენ ამ სამინისტროში გაგვიკეთებია ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში, არის უკიდურესად მნიშვნელოვანი ჩემთვის პირადად, ჩემი გუნდისა და თითოეული პოლიციელისთვის, – აღნიშნა შს მინისტრმა.

გავრილოვის სისხლიანი ღამის შემდეგ ბევრი მინისტრი და მათ შორის გახარიაც გაუჩინარებული იყო. გაუჩინარების მიზეზად გახარია საზოგადოებას ასახელებს, ამბობს, რომ არ უნდოდა მათი გაღიზიანება.

– მე თუ არ ვჩანდი, მხოლოდ ერთი მიზეზის გამო, რომ არ გამოგვეწვია დამატებითი გაღიზიანება ან ტემპერატურის ზრდა, – განმარტავს მინისტრი.

გახარია კარგად აცნობიერებს, რომ მას საზოგადოება სისხლიან ჯალათად აღიქვამს და ამბობს, რომ მზადაა, ეს ტვირთიც ატაროს.

– მე თუ გავხდი ხალხის თვალში სისხლიანი ჯალათი, ეს ნიშნავს იმას, რომ ესეც ჩემი ტვირთია, რომელსაც როგორმე ვატარებ იმისთვის, რომ ამ ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ ყველამ გაიგოს, რომ ძალადობრივად შეტევა ინსტიტუტებზე არის შეუძლებელი და ქვეყნის განვითარებასთან შეუსაბამო. მე ამ ტვირთს როგორმე ვატარებ, – განაცხადა გახარიამ.

ვნახოთ, შეძლებს თუ არა ის სისხლიანი ჯალათის უმძიმესი ტვირთის ტარებას. „ოცნებასთან“ დაახლოებული წყარო „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, რომ ის ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელზე ძალიან გაბრაზებულია და ივნისის მოვლენების გამოძიებისას შეიძლება ბევრი ჩინოსნის გვარმა გაიჟღეროს.

ამით ის სისხლიანი ჯალათის იარლიყს ვერ ჩამოიცილებს, მაგრამ „ოცნებაში“ არსებულ მტრებს არ გაახარებს. ასეთები კი მრავლად ჰყავს და ამის შესახებ ყველაზე უკეთ თავად იცის.

მან ისიც იცის, თუ რამდენი ადამიანი უმიზნებს მმართველ გუნდში შს მინისტრის სავარძელს, რაც თავად გახარიას ბრალია, რომელმაც ყველა ძალოვანი სტრუქტურის გაკონტროლება მოინდომა და საკმაოდ მძიმედ წაიმტვრია ცხვირი – სისხლიანი ჯალათის იარლიყი მიიწება.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ბექა ნაცვლიშვილი: „ხელისუფლება დამარცხდა, როცა თავის მოქალაქეებს რეზინის ტყვიები ესროლა“

ნათია ხურცილავა

პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი **ბექა ნაცვლიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.

– ბატონო ბექა, პარლამენტმა ნიკა მელიას დეპუტატის იმუნიტეტი მოუხსნა, სასამართლომ კი პროკურატურის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და აღკვეთის ღონისძიებად გირაო შეუფარდა. როგორ შეაფასებთ ამ ყველაფერს?

– მე ნიკა მელიასთვის იმუნიტეტის შეჩერებისთვის მხარი არ დამიჭერია, რადგან პროკურატურას არ წარმოუდგენია საკმარისი მტკიცებულებები. გარდა ამისა, მივიჩნევდი, რომ ამ ბრალდებით მხოლოდ ნიკა მელია არ უნდა მიცემულიყო პასუხისგებაში იქიდან გამომდინარე, რომ იქ სხვა პოლიტიკური ლიდერებიც იმყოფებოდნენ. ვფიქრობდი, რომ მხოლოდ ნიკა მელიაზე არ უნდა გადამტყდარიყო ჯოხი.

მოცემულ ვითარებაში სამართლებრივი დევნა არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, რამდენადაც – მოწინააღმდეგის პოლიტიკური დამარცხება. „ევროპულ საქართველოს“ პოლიტიკური პასუხისმგებლობა უნდა აეღო, რადგან ისინიც იმყოფებოდნენ იქ და ერთი სულისკვეთება ამოძრავებდათ. ვინ გააკეთა მოწოდებები, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს.

რაც შეეხება სასამართლოს გადაწყვეტილებას, ეს არის სწორი და ჯანსაღი გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილებით პროცესების ოდნავი განეიტრალება მაინც მოხდება. თუ საწინააღმდეგო გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული, ამ შემთხვევაში პროცესების ბევრად უფრო ესკალაცია და გამწვავება გარდაუვალი იყო.

– ამ პოლიტიკურ პროცესში ხელისუფლება დამარცხდა?

– რასაკვირველია, დამარცხდა! დამარცხდა უპირველეს ყოვლისა მაშინ, როდესაც საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ რეზინის ტყვიები გამოიყენა. დამარცხდა, როდესაც გავრილოვი ჩაჯდა ქვეყნის მთავარი საკანონმდებლო ორგანოს პირველ სკამზე. ხელისუფლება დამარცხდა, როდესაც რუსი დეპუტატის ჩამოყვანის საკითხს უყურადღებოდ და ინფანტილურად მიუდგა.

– პოლიტიკური ფასის გადახდაზე საუბრობენ.

– როდესაც იხდი პოლიტიკურ ფასს, უკვე დამარცხებული ხარ. გარდა ამისა, კიდევ ერთხელ ხელისუფლება დამარცხდება, როდესაც გიორგი გახარია თანამდებობის დატოვების გადაწყვეტილებას მიიღებს.

– ფიქრობთ, მიიღებს?

– დიახ, ეს არის გარდაუვალი მოცემულობა, მიუხედავად მისი პიროვნული ღირსებებისა. მე კარგად ვიცნობ გიორგი გახარიას და ვიცი მისი ბევრი ღირსების შესახებ. მან პოლიტიკური პასუხისმგებლობა უნდა აიღოს.

ის მოვლენები, რომლებიც დემონსტრაციის დაშლის დროს განვითარდა, აუცილებლად აყენებს მინისტრის პოლიტიკურ პასუხისმგებლობას და სწორედ ამიტომ უნდა გადადგეს. სააკაშვილის რეჟიმის შემდეგ რეზინის ტყვიების გამოყენება უნდა დასრულებულიყო.

– პოლიტიკური შეთავაზებები, რომლებიც გააკეთა ივანი შვილმა, ნულოვან საარჩევნო ბარიერს ვგულისხმობ, რამდენად იყო ადეკვატური?

– ნულოვანი საარჩევნო ბარიერი პოლიტიკურ ვითარებას შეცვლის. მე ვფიქრობ, რომ პოლიტიკური პროცესი ბევრად უფრო ჯანსაღი იქნება. ნულოვანი საარჩევნო ბარიერი მოცემულობას შეცვლის და არ გვექნება სურათი, როდესაც პოლიტიკურ ავანსცენაზე მხოლოდ ორი აქტორია, „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა.

– ფიქრობთ, ორპარტიული დაპირისპირება დასრულდება?

– დიახ. ნაციონალურ მოძრობასა და „ევროპულ საქართველოს“ ამ შემთხვევაში უფრო გაუჭირდება ხმების მოპოვება. პირდაპირ ვიტყვი, რომ ეს იყო სწორი და გონივრული გადაწყვეტილება. პოლიტიკური პროცესი ბევრად უფრო მრავალფეროვანი და ჯანსაღი იქნება. თუმცა, საბოლოოდ მას შემდეგ გაირკვევა, რამდენად სწორი გადაწყვეტილება იყო, რაც ქვეყანაში არჩევნები ჩატარდება და ძალთა გადანაწილებას ვნახავთ.

– თქვენ განაცხადეთ, რომ ხელისუფლების შეცდომა იყო, რომ ნაციონალური მოძრაობა ვერ დასრულდა. ორპარტიული სისტემა, როდესაც ყველა არჩევნებზე „ოცნება“ პირველია და მეორე – ნაციონალური მოძრაობა, ეს მოცემულობა დასრულდება?

– ეს ძალიან რთული იქნება, ყველაფრის მიუხედავად, რადგან სწორედ ამ ორ პოლიტიკურ ძალას აქვს ყველაზე დიდი რესურსი როგორც ფინანსური, ისე სატელევიზიო და ა.შ. თუმცა, პოლიტიკური ველის ფრაგმენტაცია აუცილებლად მოხდება სწორედ ნულოვანი ბარიერის ხარჯზე. მე იმედი მაქვს, რომ პარლამენტში არ შემოვლენ მხოლოდ ისეთი პოლიტიკური ძალები, რომლებიც შემოიფარგლებიან ერთმანეთის კრიტიკითა და ლიდერებისადმი კეკლუცობით.

– თქვენ იცნობთ იმ 92 დეპუტატს, რომლებმაც პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილეს. შეიძლება, ისინი დღეს თავიანთ გადაწყვეტილებას ნანობდნენ?

– ვერ გეტყვით, ნანობენ თუ არ ნანობენ. ადამიანურად, შეიძლება, მართლაც ნანობენ, მაგრამ აქ მთავარია, პოლიტიკურად რამდენად ნანობენ. ვინც პოლიტიკურად ნანობდა და პერსპექტივაში თვლიდა, რა შეიძლება ამას მოჰყოლოდა, იმ დეპუტატებმა თავი შეიკავეს.

ივანიშვილმა ნიკა მელიას დაჭერა ვერ გაბედა

შორენა მარსაგიშვილი

გუშინ, 27 ივნისს, მთელი საქართველოს ყურადღება თბილისის საქალაქო სასამართლოსკენ იყო მიმართული, სადაც მოსამართლე თემურ გოგოხია მთავარი პროკურატურის შუამდგომლობის საკითხს განიხილავდა.

საგამოძიებო უწყება იმუნიტეტშეჩერებული ნიკა მელიას დაპატიმრებას ითხოვდა.

სასამართლომდე პროკურატურამ პარლამენტს მიმართა და მელიასთვის დეპუტატის იმუნიტეტის შეჩერება მოითხოვა.

93-მა კანონმდებელმა პროკურატურის მოთხოვნა უპირობოდ დააკმაყოფილა და კოლეგა ციხისთვის გაიმეტა. აღსანიშნავია, რომ ამ 93 დეპუტატიდან, სულ მცირე, 10 ნიკა მელიას მამის, ანზორ მელიას პაციენტია.

იმუნიტეტის შეჩერების შემდეგ მელიამ კოლეგებს უთხრა, რომ მას დაჭერის არ ეშინია და დაინტერესდა, თუ როგორ შეხედავდნენ ამ გადაწყვეტილების შემდეგ მას კოლეგები თვალებში.

დეპუტატი აკაკი ზოიძე ნიკა მელიას დაჰპირდა, რომ მას ფართოდ გახელილი თვალებით შეხედავდა.

ამ პირობის შესრულება მას და კიდევ 92 დეპუტატს ძალიან გაუჭირდებათ. მათ მიერ ციხისთვის გამეტებული ნიკა მელია სასამართლომ გირაოთი გაათავისუფლა.

სასამართლომდე ერთი დღით ადრე კი ივანიშვილის შუშის სასახლეში დიდი ამბები მოხდა. ჯერ ამერიკის საელჩომ გაავრცელა განცხადება. ამის პარალელურად, ივანიშვილს ამერიკელები ესტუმრნენ და საკმაოდ ნათლად აუხსნეს, თუ რა მოჰყვებოდა ოპოზიციის ლიდერების დაჭერას.

ამ შეხვედრის დეტალებზე „ახალი თაობა“ უკვე წერდა გუშინდელ, 26 ივნისის ნომერში.

რაც შეეხება სასამართლოს, მასზე დასასწრებად ბევრი ადამიანი მივიდა. მელიას მეგობრები დარწმუნებული იყვნენ მის სიმართლეში და ამბობდნენ, რომ სამართალი იზეიმებდა.

ზეიმობდა „ოცნების“ საფანოც. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ციხეში წავიდოდა. მოლოდინმა არ გაამართლა – სასამართლომ მელია არ დააპატიმრა.

მოსამართლე თემურ გოგოხიამ არ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და მელიას გირაო შეუფარდა. 30.000-ლარიანი გირაო მელიამ 20 დღის ვადაში უნდა გადაიხადოს.

როგორც მოსამართლემ აღნიშნა, მელიას უნდა აეკრძალოს საცხოვრებელი ადგილის დატოვება საგამოძიებო ორგანოს ინფორმირებისა და თანხმობის გარეშე.

ოპოზიციონერის ადვოკატმა გიორგი კონდახიშვილმა შუამდგომლობის წარდგენისას განაცხადა, რომ მელიას დაკავება მის პოლიტიკურ განეიტრალებას უკავშირდება. ასევე, ადვოკატმა სასამართლოს წარუდგინა წერილი, სადაც აღნიშნული იყო, რომ მელიას დეპუტატები თავდებში უდგებოდნენ.

პროკურორმა ამირან გულუაშვილმა შუამდგომლობის არგუმენტად დაასახელა ის, რომ მელიამ, შესაძლოა, მოწმეებზე ზემოქმედება მოახდინოს, ასევე მტკიცებულებების განადგურება მოხდეს.

ნიკა მელიას ბრალი ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, რაც ჯგუფური ძალადობის ორგანიზებას, ხელმძღვანელობასა და მასში მონაწილეობას გულისხმობს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, მელიას ექვსიდან ცხრა წლამდე პატიმრობა ემუქრება.

მართალია, ნიკა მელია თავისუფალია, მაგრამ მას ბევრი რამ აეკრძალა:

საცხოვრებელი ადგილის დატოვება საგამოძიებო ორგანოს ინფორმირებისა და თანხმობის გარეშე;

საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას საჯარო განცხადებების გაკეთება;

მოწმეებთან ნებისმიერი სახის კომუნიკაცია.

მას დაეკისრა საგამოძიებო ორგანოებისთვის პასპორტისა და პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების ჩაბარება.

სასამართლოს გადაწყვეტილებას ოპოზიცია დიდი სიხარულით შეხვდა. „ოცნებამ“ კი სასწრაფოდ შეცვალა ფირფიტა და ასეთი ნარატივი ააფრიალა – მელიას დაკავებით გმირად ვაქცევდით, ამიტომაც დარჩა ის გარეთ.

გირაოშეფარდებული ოპოზიციონერი სასამართლოს გადაწყვეტილებას პოზიტიურად შეხვდა.

მელია მიიჩნევს, რომ ეს გადაწყვეტილება საზოგადოების პროტესტისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ზეწოლის შედეგია.

– ივანიშვილი მიხვდა, რომ დაჭერას რაღაცები მოჰყვებოდა და ჩინჩალაძის ძმაკაცის ხელით გამათავისუფლა, – აღნიშნა მედიასთან საუბარში მელიამ.

მოსამართლის გადაწყვეტილება მმართველმა ძალამ სათავისოდ გამოიყენა. იმუნიტეტის შემჩერებლები ერთიმეორის მიყოლებით ჩამწკრივდნენ და გაიძახოდნენ – აი, თუ არ არის სასამართლო თავისუფალიო.

ამ შემთხვევაში სასამართლო დეპუტატებზე ბევრად უფრო თავისუფალი აღმოჩნდა. საინტერესოა, როგორ შეხედავენ ისინი ნიკა მელიას თვალებში.

მადლიერმა ქართველმა ერმა ამ დეპუტატებს 93 გავრილოველი შეარქვა. ერთ-ერთმა ფეისბუქმომხმარებელმა კი დაწერა, რომ პარლამენტის მისამართად გავრილოვის №93 უნდა იყოს მითითებული.

თავის კოლეგებთან დაკავშირებით ნიკა მელიამაც გააკეთა კომენტარი. მან მმართველი ძალის წარმომადგენლებს ივანიშვილთან ასვლა და კითხვების დასმა ურჩია.

– რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიეღოთ, ეს იქნებოდა პოლიტიკური გადაწყვეტილება.

93 დაჩოქილი დეპუტატი დავინახე მე გუშინ. დღეს შეიცვალა ვითარება საზოგადოებრივი განწყობების შესაბამისად. როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილს აუწიეს ყური. მივმართავ 92 დეპუტატს, ადით ახლა ბიძინა ივანიშვილთან და ჰკითხეთ, რა გაგიკეთათ, დაგაჩოქათ, გაგაშიშვლათ და შეურაცხყოფა მოგაყენათ? მე მრცხვენია თქვენ მაგივრად, – განაცხადა მელიამ.

რუსი ტურისტების შემცირება საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ვერ იქონიებს

„დეველოპერთა ასოციაციის“ თავმჯდომარე თათია შავთვალაძე „2020NEWS“-თან აცხადებს, რომ საქართველოში რუსი ტურისტების შესაძლო შემცირება ქართულ ეკონომიკას საფრთხეს ვერ შეუქმნის.

მისივე თქმით, რუს ტურისტთა კლება საქართველოში ჯერჯერობით არ შეინიშნება.

– საქართველოში რუსი ტურისტების კლება ჯერჯერობით არ შეინიშნება. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთიდან ჩამოსული ტურისტების რაოდენობა შემცირდება, აღნიშნული საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ვერ იქონიებს, რადგან ჩვენი ქვეყანა რუსეთის ბაზარზე დამოკიდებული აღარ არის.

საქართველო-რუსეთს გადაკვეთის ბევრი ცხელი წერტილი ჰქონია, თუნდაც 2008 წელს, მაგრამ ამ პერიოდის განმავლობაში საქართველომ დამოუკიდებლად განვითარება ისწავლა, – განაცხადა შავთვალაძემ.

როგორც შავთვალაძე აცხადებს, წელს ისრაელიდან საქართველოში 200 ათასი ტურისტის შემოსვლას ელოდება.

– წელს ველოდებით დიდი რაოდენობით ტურისტებს ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან, ისრაელიდან, პოლონეთიდან, ჩეხეთიდან, საფრანგეთიდან, ინდოეთიდან, უკრაინიდან, ბელარუსიდან, ყაზახეთიდან, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან. მხოლოდ წელს ისრაელიდან საქართველოში 200.000 ტურისტის შემოსვლას ველოდებით, – განაცხადა თათია შავთვალაძემ.

ცნობისთვის, რუსეთმა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის მიხედვითაც, საქართველოს მიმართულებით ფრენები დროებით აიკრძალება. ბრძანება 8 ივლისიდან ამოქმედდება.

„ევროსაბჭოში მიაჩნიათ, რომ რუსეთის გარიყვა უარეს შედეგს მოიტანს“

იავო ნაცვლიშვილი

რატომ დაუბრუნეს აგრესორს ხმის მიცემის უფლება?

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (პასე) გადაწყვეტილებით, რუსეთი ასამბლეაში სრულფასოვანი სტატუსით ბრუნდება. ეს გადაწყვეტილება მან 25 ივნისს 118 ხმით 62-ის წინააღმდეგ მიიღო. რეზოლუციას მხარი არ დაუჭირეს საქართველოს დელეგაციის წარმომადგენლებმა – საპარლამენტო უმრავლესობიდან სოფიო ქაცარავამ, ნინო გოგუაძემ, ირინა ფრუიძემ და უმცირესობიდან დავით ბაქრაძემ და გიორგი კანდელაკმა. რეზოლუციას მხარი არ დაუჭირა არც უკრაინამ. უფრო მეტიც, საქართველომ, უკრაინამ და მათთან ერთად კიდევ 5 ქვეყნის დელეგაციამ (ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი) ასამბლეა დროებით დატოვეს.

„საქართველოს, უკრაინისა და 5 ქვეყნის პროტესტი სწორია, „პასე“-მ რუსეთის აგრესიაზე რეზოლუცია უნდა მიიღოს“

„რუსეთის დელეგაციისთვის უფლებების უპირობო აღდგენა ეწინააღმდეგება ევროპის საბჭოს ძირეულ ფასეულობებს. დღეს ჩვენ, როგორც წევრი ქვეყნების დელეგაციების წარმომადგენლები, ვერ ავუხსნით ჩვენს მოქალაქეებს, თუ როგორ აპირებს ევროპის საბჭო მათი უფლებების დაცვას, თუკი ის, როგორც გამოჩნდა, აგრესორის კეთილდღეობით უფროა დაინტერესებული, ვიდრე აგრესიისა და რეპრესიების მსხვერპლთა მდგომარეობით“, – წერია ამ 7 ქვეყნის ერთობლივ განცხადებაში.

რუსეთს ხმის მიცემის უფლება ჰქონდა ჩამორთმეული, რაც მის აგრესიულ პოლიტიკასა და ყირიმის ანექსიას უკავშირდება. მაშინ ეს სანქცია დააწესა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ რუსეთის მიმართ. დღეს კი რუსეთი იმუქრებოდა, რომ თუ მას ხმის უფლებას არ დაუბრუნებდნენ, მაშინ ისინი საერთოდ გავიდოდნენ, რაც გარკვეული პრობლემების წინაშე აყენებდა ასამბლეას. თუმცა, ამ გადაწყვეტილების შემდეგ, შესაძლოა, სკეპტიციზმი გაიზარდოს ევროსტრუქტურების მიმართ.

რით აიხსნება „პასე“-ს ეს გადაწყვეტილება და რა უნდა გაკეთდეს რთული ვითარების განსამუხტად? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ევროპული კვლევების ცენტრის“ დირექტორი **კახა გოგოლაშვილი** საუბრობს:

– ევროპის საპარლამენტო ასამბლეამ რუსეთს ხმის მიცემის უფლება აღუდგინა. რა თქვა ამით ასამბლეამ, როცა სრულფასოვანი წევრის სტატუსით დააბრუნა, მით უმეტეს, იმ აგრესიის ფონზე, რომელსაც ახორციელებს რუსეთი?

– რა თქმა უნდა, ეს არის ძალიან ცუდი გადაწყვეტილება, მაგრამ, თუ შეიძლება, რამე გამამართლებელი არგუმენტი მოიძებნოს უმეტესი ქვეყნებისა, არის ის, რაც მათ გვითხრეს და ეს მდგომარეობს იმაში, რომ თუ რუსეთი დატოვებს ასამბლეას, რითაც ის იმუქრებოდა, მაშინ რუსეთის მოქალაქეებს აღარ ექნებათ საშუალება, მიმართონ ევროპის სასამართლოს იმ ვითარებაში, როდესაც მათი უფლებები ირღვევა რუსეთის ფედერაციაში, ანუ ევროპის საბჭო კარგავდა ნებისმიერ ბერკეტს იმისთვის, რომ დახმარებოდა რუსეთის მოქალაქეებს.

ერთადერთი ჯანსაღი არგუმენტი ეს არის იმისათვის, რომ რაღაცნაირად გაამართლო საპარლამენტო ასამბლეის გადაწყვეტილება. დანარჩენი თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდი ფაქტია. კერძოდ, ის, რომ რუსეთი ახდენს ძალის დემონსტრირებას. „პასე“-მ აღიარა თითქოს, რომ რუსეთი არის აგრესორი და, ამავე დროს, თუ განვიხილავთ იმ კონტექსტში, რომ ეს გადაწყვეტილება იმის აღიარებაა, რომ სწორად იქცევა რუსეთი ყირიმის ანექსიასთან მიმართებით, ეს, რა თქმა უნდა, ძალიან არასწორი გადაწყვეტილებაა, თუ ამ თვალსაზრისითაც განვიხილავთ.

– ხომ არ გგონიათ, რომ თუ ასეთი გამოუვალი ვითარების წინაშე იდგა საპარლამენტო ასამბლეა, მაშინ სხვა გადაწყვეტილებაც უნდა მიეღოთ, მაგალითად, მიეღოთ რეზოლუცია, სადაც ჩაიწერებოდა, რომ რუსეთი აგრესორია და ევროსაბჭო ამ მხრივ პოზიციებს არ თმობს და პრინციპულები იქნებიან ამ თვალსაზრისით?

– რა თქმა უნდა, ასეთი რეზოლუცია აუცილებლად მისაღებია. პრინციპში, „პასე“-ში რუსეთის საკითხი კი არ ყოფილა განხილული, არამედ განიხილებოდა ცვლილება დებულებაში, რომლის შედეგადაც ამოვარდა ის პუნქტი, რომლითაც ხმის უფლება უჩერდებოდათ ქვეყნებს. ეს პუნქტი ამოაგდეს. შეიცვალა მიდგომა და ფილოსოფია და ავტომატურად აღდგა რუსეთისთვის ხმის შეწყვეტის შესაძლებლობა.

მაგრამ, ყველა ხვდება, რომ ძირითადად ეს გამოწვეული იყო იმით, რომ რუსეთი არ გასულიყო ევროსაბჭოდან, დარჩენილიყო ევროსაბჭოს წევრად და რამენაირად აღედგინათ მისთვის ხმის უფლება იმისთვის, რომ არ ეპატიებინათ უკრაინის ანექსია და ასე გააკეთეს. იმ წუთში მიბმული არ ყოფილა ეს, რომ რუსეთი აგრესორია და მან უნდა დააბრუნოს ტერიტორიები და ა.შ. მაგრამ ახლო მომავალში ეს განცხადება ალბათ იქნება და მას მიიღებენ.

– ევროკავშირისა და ევროსტრუქტურების მიმართ ეს გადაწყვეტილება კითხვის ნიშნებს ხომ არ წარმოშობს, ხომ არ გააჩენს სკეპტიციზმს და ხომ არ ძლიერდება ეს სკეპტიციზმი თანდათანობით?

– რა თქმა უნდა. მართალია, ევროსაბჭოზე ვსაუბრობთ და ის პირდაპირ ევროკავშირს არ ეხება, მაგრამ ყველას კარგად ესმის, რომ იქ ყველაზე დიდი გავლენა ევროკავშირის ქვეყნებს აქვთ, რადგან ევროკავშირს ყველაზე მეტი წევრი ჰყავს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში და, შესაბამისად, გავლენაც მეტი აქვს, ვიდრე ნებისმიერ სხვა დაჯგუფებას.

თავისთავად არის პოპულიზმი ევროპაში და მათ შორის ევროპარლამენტარებშიც სწორედ ამ მიმართულებით. რა თქმა უნდა, ეს გასაკეთებელია. შედარებით პოპულისტური ძალების გავლენა ბოლო პერიოდში გაიზარდა. ამიტომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების პარლამენტებშიც და ევროპარლამენტშიც შევიდნენ, მათ შორის ევროპული სტრუქტურების მიმართ სკეპტიკურად განწყობილი და მათ შორის რუსული ძალებიც. თუმცა, დრამატიზება აქ არ იქნება სწორი.

ეს გადაწყვეტილება არ ყოფილა იმით განპირობებული, რომ „პასე“-ს წევრების უმეტესობა პრორუსია. აქ, რა თქმა უნდა, ითამაშა გავლენა ევროპულმა რბილმა ფსიქოლოგიამ, რომელიც რაღაც მომენტში უკვე უნდა დაეტოვებინათ, რადგან აშკარად გამოჩნდა რუსეთის აბსურდული და გრძნობამოკლებული პოლიტიკა. კერძოდ, ის, რომ ის არავის სცემს პატივს. ამის მიუხედავად, როგორც ჩანს, ევროპა ისევ იმ პოზიციაზეა, რომ არ უნდა გარიყო რუსეთი, სოციალიზაციის საშუალებები უნდა დაუტოვო. არის პოზიციები, რომ თუ რუსეთი მთლიანად გაირიყება და იზოლაციაში მოექცევა, მაშინ რა ეშველებათ რუსეთის მოქალაქეებს, აღარ იარსებებს ბერკეტი, რომ, მაგალითად, რუსეთის მიერ გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებებს ტაბუ დაადოს ევროპის სასამართლომ და ა.შ. საბოლოო ჯამში, ალბათ ამ მოსაზრებამ გაიმარჯვა, ვიდრე სხვა რამემ.

თუმცა, იმაზეც არის საუბარი, რაზეც საკმაოდ ხმამაღლა საუბრობენ ევროსაბჭოში და ეს ეხება დაფინანსების საკითხს. შესაძლოა, ამანაც იქონია თავისი გავლენა. ვინაიდან მას სჭირდება ფუნქციონირება და, როგორც ჩანს, გაჩნდა დეფიციტი დაფინანსებისა, ხოლო რუსეთი ერთ-ერთი მსხვილი გადამხდელია ასამბლეის საწევროს გადახდის თვალსაზრისით. იმედია, ეს არ იყო მთავარი მიზეზი გადაწყვეტილების მიღებისას და მართლა ადამიანის უფლებებისთვის ზრუნვა იყო.

– „პასე“ დროებით დატოვა 7 ქვეყნის დელეგაციამ, მათ შორის საქართველომაც დროებით. უნდა დაბრუნდნენ თუ არა გარკვეული დროის შემდეგ თუ როგორ წარმოგიდგენია მოვლენების განვითარება?

– მე მგონია, რომ სწორი ჟესტი იყო ამ 7 ქვეყნისგან, მაგრამ მე არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდება ეს პროტესტი.

ასეთი გადაწყვეტილება რომ მიეღოთ, ამისთვის საჭირო იქნებოდა ძალიან სერიოზული მუშაობა, რეპორტინგი და წინასწარ უნდა შეეთანხმებინათ ამ ქვეყნებთან, რომლებიც წინააღმდეგი იყვნენ აღნიშნული გადაწყვეტილებისა. ახლა უმრავლესობამ იგნორირება მოახდინა უმცირესობის ინტერესებისა და ამის საპასუხოდ პროტესტი ძალიან მნიშვნელოვანია. საბოლოოდ როგორ გაგრძელდება ეს და როგორ დასრულდება, არ ვიცი, თუმცა, თუ მოამზადებენ რეზოლუციას, რომელიც მკაცრად გმობს რუსეთის მიერ აგრესიულ პოლიტიკას, ანექსიასა და ა.შ., რომელიც ხსნის მიზეზებს, რის გამო ღირდა რუსეთის დაბრუნება და ა.შ. თუ ასეთი რეზოლუციის ტექსტი შემუშავდება და მისცემენ ამ გზას, შესაძლოა, ეს აღმოჩნდეს იმპულსი იმისა, რომ დელეგაციები კვლავ დაბრუნდნენ „პასე“-ს სხდომებზე.

გადაყრილი კულტურული მემკვიდრეობა — ზაქარია ქუცნაშვილი ახლად ნაყიდ შენობებს არემონტებს

ყოფილი პარლამენტის წევრის ზაქარია ქუცნაშვილის კუთვნილ შენობებში, რომლებიც თბილისში, ტურგენევის ქუჩაზე მდებარეობს და რომლებიც ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს ატარებს, მიმდინარე რემონტის დროს ღირებული ფრაგმენტები მოხსნეს და უკან აღარ აბრუნებენ.

ფრაგმენტები და ჩუქურთმები, რომლებიც ტურგენევის 2 და 4 ნომრებში ჩამოხსნეს, ღია ცის ქვეშ აწყვია. რემონტზე მომუშავე მუშებმა ადგილობრივებს უთხრეს, რომ რადგან არ აპირებენ ფრაგმენტების უკან დაბრუნებას, შეუძლიათ, ისინი აიღონ კიდეც.

* * *

ზაქარია ქუცნაშვილის სახლი ტურგენევის ქუჩაზე

ზაქარია ქუცნაშვილმა ტურგენევის ქუჩაზე ორი ბინა სარდაფებითა და სხვენით 2018 წელს იყიდა. ეს ქუჩა თბილისის ისტორიულ ნაწილში, განახლებულ აღმაშენებელთან ახლოს მდებარეობს და ყოფილი დეპუტატი იქ სავარაუდოდ სასტუმროების მოწყობას აპირებს.

ხელოსნებმა, რომლებიც ისტორიულ ძეგლს არემონტებენ, დაადასტურეს, რომ ეს შენობა ნამდვილად ყოფილ დეპუტატს ეკუთვნის. სახლის ჩამოხსნილი ფრაგმენტები კი რამდენიმე მოქალაქემ მართლაც წაიღო. ერთ-ერთი მათგანია ნატა ფერაძე, რომელიც ამბობს, რომ თუკი ზედამხედველობის სამსახური ამ სახლების ბედით დაინტერესდება და მათ ნორმალურ რეაბილიტაციას ჩაუტარებენ, სახლის დეტალს უკან დიდი სიამოვნებით დააბრუნებს, მანამდე კი შეინახავს, რომ ამ გზით განადგურებას გადაარჩინოს. ზაქარია ქუცნაშვილის სახლის ის დეტალი, რომლის შენახვაც ნატა ფერაძემ გადაწყვიტა, რუსთავი 2-ის მიერ რამდენიმე დღის წინ მომზადებულ სიუჟეტში ჯერ კიდევ შენობაზე იყო მიმაგრებული. ასეთივე დეტალები ამ დრომდე დევს ზაქარია ქუცნაშვილის ახლად ნაყიდი სახლის სადარბაზოშიც.

ტფილისი ჰამქრის წევრი ცირა ელისაშვილი კი ამბობს, რომ ყოფილი დეპუტატი ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლზე რემონტს ყველანაირი არქიტექტურული პროექტის გარეშე, წესების დარღვევით აკეთებს.

ამ შენობის რეაბილიტაციის პროექტი თბილისის მერიის საიტზე იძებნება და მასში წერია, რომ „სამუშაოებით ვცდილობთ შევინარჩუნოთ ისტორიული შენობის ინტერიერი, რათა უფრო მიმზიდველი გახდეს მისული სტუმრებისთვის.“

ტურგენევის ქუჩაზე მისულ რადიო თავისუფლების გადამღებ ჯგუფს ყოფილი დეპუტატი ადგილზე დახვდა და უთხრა, რომ ეს შენობა მისი კერძო საკუთრებაა, რომელიც საკმაოდ ძვირად ღირებული სიამოვნება აღმოჩნდა. ყოფილი დეპუტატის თქმით, მას ამ სახლების შესაძენად იპოთეკური სესხის აღება დასჭირდა. დეპუტატმა ისიც თქვა, რომ შენობა ძველია, 2 საუკუნეზე მეტი ხნის და ის რეაბილიტაციის შემდეგ კიდევ უფრო ლამაზი და მშვენიერი იქნება.

2018 წელს, ამ შენობების გარდა, „ქართული ოცნების„ წევრის ოჯახის ქონება მილიონი ლარის უძრავი ქონებით გაიზარდა.

ქუცნაშვილებმა მიწის ნაკვეთი გასულ წელს ყაზბეგშიც შეიძინეს. დეკლარაციის თანახმად, ზაქარია ქუცნაშვილის მეუღლემ თეა სანიკიძემ, დაბა სტეფანწმინდაში, 888 კვ.მ. მიწაში 35 ათასი ამერიკული დოლარი გადაიხადა.

ომარ ქუცნაშვილს, ზაქარია ქუცნაშვილის მამას, 76 ათასი ამერიკული დოლარი დაუჯდა ერთ-ერთ ყველაზე ძვირადღირებულ და პრესტიჟულ სამშენებლო კომპანიაში ბინის ყიდვა.

ქუცნაშვილები საბურთალოზე ?არასაცხოვრებელ უძრავ ქონებასაც აქტიურად აგროვებენ. საბურთალოს 32 ნომერში, 88 კვადრატულ მეტრში დეპუტატმა ქუცნაშვილმა 70 ათასი ამერიკული დოლარი გადაიხადა. 2019 წლის დეკლარაციის თანახმად, გაადიდეს და კიდევ მიუმატეს ფართი ქუცნაშვილების 4-სართულიან სახლს საირმის გორაზე. ეს შენობა დეკლარაციაში 180 ათას ამერიკულ დოლარადაა შეფასებული.

* * *

დეპუტატის წლიური ხელფასი 56.835 ლარს შეადგენს.

ზაქარია ქუცნაშვილმა პარლამენტარის მანდატი მას შემდეგ დატოვა, რაც თბილისში გამართულ მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის ფარგლებში მოწვეული სტუმარი, რუსეთის დუმის წევრი კომუნისტი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში თავმჯდომარის სკამში ჩაჯდა და მძლავრი სამოქალაქო პროტესტის ტალღა გამოიწვია.

გია ვოლსკი: „არც მას აქვს აჟიოტაჟის საფუძველი, ვისაც მელიას ციხის ნარზე ხილვა უნდოდა და არც მას, ვისაც უდანაშაულოდ მიაჩნია“

გია ვოლსკი ნიკა მელიასთვის აღკვეთის ღონისძიების სახით 30.000-ლარიანი გირაოს შეფარდებას ეხმაურება და აცხადებს, რომ მელიას გარკვეული შეზღუდვები აქვს დაწესებული და მას, ფაქტობრივად, შინაპატიმრობა აქვს მისჯილი, რაც ყველანაირ პოლიტიკურ, საჯარო აქტივობას უკრძალავს.

– სანამ განჩინება არ ჩაბარდება, რაც მოხდება უახლოეს პერიოდში გამოცხადებული იყო მოსამართლის მიერ, რომ შეზღუდვის გარკვეულ რეჟიმში მოუწევს ცხოვრება სანამ სასამართლო არ შედგება. საპყრობილეში არ იმყოფება, მაგრამ შინაპატიმრობა მას ზღუდავს ყველანაირი აქტივობისგან.არც იმ ხალხს, ვისაც უნდოდა ეხილა ნიკანორ მელია ციხის ნარებზე, არც იმ ხალხს ვისაც აქვს ეგეთი შეხედულება, რომ მას დანაშაული არ ჩაუდენია, არ აქვს აჟიოტაჟის საფუძველი, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

მირიან მირიანაშვილი: „ივანიშვილსა და ბოკერიას რუსული სცენარი საზოგადოების დასავლურმა განწყობამ ჩაუშალა“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, საქართველოს გადარჩენის მოძრაობის ლიდერ მირიან მირიანაშვილს.

მირიან მირიანაშვილი:

– თბილისის ცენტრში მოვლენები გრძელდება, ამ პროცესების გაშუქება კი დამახინჯებულად და არასრულფასოვნად მიმდინარეობს.

– ეს საპროტესტო აქცია, რომლის მონაწილეებმაც ზურგი აქციეს აქტიურ პოლიტელიტას, უჩვეულოა. მოვლენების დამახინჯებაში რას გულისხმობთ?

– ეს იყო ერთგვარი რეფერენდუმი, რომელმაც უნდა განსაზღვროს საქართველოს მომავალი. მსოფლიომ დაინახა, რომ უახლოეს საპარლამენტო არჩევნებზე, როცა არ უნდა გაიმართოს ის, დაიდება იგივე შედეგი, რაც გამოიკვეთა.

– რა გამოიკვეთა?

– საზოგადოების დიდი ნაწილის ანტირუსული და პროდასავლური პოზიცია. ხალხი გარეთ გამოვიდა 20 ივნისს პარლამენტში მოწყობილი პროვოკაციის შემდეგ. იმათ, ვინც ამ პროვოკაციულ სცენარში მონაწილეობდა, ვერც კი წარმოედგინათ, რომ ქუჩის პროტესტი ამ მასშტაბს მიიღებდა. ივანიშვილსა და ბოკერიას რუსეთში მოფიქრებული სცენარი საზოგადოების დასავლურმა განწყობამ და ხალხის დიდმა რაოდენობამ ჩაუშალა.

– გავრილოვის გარშემო ატეხილი სკანდალი ისევ რუსული პანდორას ყუთიდან გადმოგდებული სცენარი იყო?

– რასაკვირველია. ივანიშვილი რუსეთის სქემებით ადრეც შეეცადა ძალაუფლების გადაბარებას ფსევდოდასავლური ჯგუფებისათვის და დასავლეთის მოტყუებას, მაგრამ – უშედეგოდ. ბოლო სპექტაკლი გათამაშდა გავრილოვის მონაწილეობით. ფსევდოდასავლურ ბოკერიას დაჯგუფებას იმ მოვლენამდე რამდენიმე დღით ადრე ჰქონდა გამზადებული პლაკატები გავრილოვის წინააღმდეგ.

– პარლამენტის გარეთაც დაგეგმილი იყო გარკვეული მოქმედებები?

– ცხადია. აშშ-ის საელჩოს განცხადება რომ არა, სადაც საუბარია კონსტიტუციური ჩარჩოების შენარჩუნების აუცილებლობაზე, ივანიშვილს პარლამენტში შეჭრაზეც თანხმობა ჰქონდა გაცემული.

– ნაცმოძრაობის წევრი ნიკა მელია რისთვის ისჯება?

– ნიკა მელია არაფერ შუაშია. მისთვის დეპუტატის იმუნიტეტის შეჩერება ყურადღების მისაქცევად სჭირდებათ. საზოგადოებასა და დასავლეთს სპექტაკლს უკუღმა ასაღებენ. უნდათ, დაამტკიცონ, რომ აქ მთავარი მოთამაშე ნაცმოძრაობაა. რუსებიც ამტკიცებენ, რომ ნაცმოძრაობა გეგმავდა გადატრიალებას.

– სინამდვილეში, ქოცებსა და ევროქოცებს შორის გათამაშდა სცენარი და ნაცმოძრაობა მასში შემთხვევით ჩაება?

– ეს, დაახლოებით, იგივეა, რაც ყვარყვარე თუთაბერს გადახდა, როცა ოსმალეთის ჯარი ბრუნდებოდა და ყვარყვარე ამაში გაერია. ნაცმოძრაობა სცენარში არ იჯდა.

– ივანიშვილმა და ბოკერიამ მიზანს ვერ მიაღწიეს?

– ეს გეგმაც ჩაუფლავდათ. ბოლო ხანს რუსეთის პოლიტტექნოლოგიები, სურკოვის ლაბორატორია საქართველოში მოიკოჭლებს. აქაური საშემსრულებლო ხელოვნებაც დაკნინდა. გავრილოვთან მიმართებით დადგმა უნიჭო გამოდგა. ორგანიზატორები და შემსრულებლები გარეთ გამოსულმა ხალხმა და პროცესების მასშტაბურობამ გააკვირვა.

მათი სქემით, ხალხი უნდა გამოსულიყო, მაგრამ არა – ამ რაოდენობით. ივანიშვილმა და ბოკერიამ იცოდნენ, რომ საქართველოში რუსეთის საწინააღმდეგო და დასავლეთის მომხრე ელექტორატი იზრდებოდა. ისინი ხვდებოდნენ ტენდენციებს, მაგრამ ვერ ჩასწვდნენ მასშტაბურობას. შარშან ანტირუსული ელექტორატის რაოდენობა საქართველოში 30%-თ გაიზარდა. ეს ტენდენცია წელს შენარჩუნდა. თბილისის ცენტრში მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე, ეს მონაცემი გაიზრდება.

– და არჩევნებზე აისახება?

– ბუნებრივია. ეს არის არა მხოლოდ რეფერენდუმი, არამედ, ივანიშვილის ყალბი საარჩევნო სისტემისთვის ძირის გამოთხრა, ასევე კრახი ფსევდოდასავლური, ანუ ფარულად პრორუსული და ღიად პრორუსული ძალებისათვის.

ივანიშვილმა, მასთან გარიგებულმა ფსევდოდასავლურმა ოპოზიციამ რუსებთან ერთად სასიკვდილო განაჩენი მიიღეს. არჩევნებზე განსხვავებული შედეგი ვერ დადგება. რუსული პროვოკაციების მომწყობები ჩიხში მოექცნენ საზოგადოების განწყობის გამო. ისინი არ მოელოდნენ 30.000 კაცის გამოჩენას აქციებზე.

– ცხოველებისთვის განკუთვნილი ტყვიებით ადამიანების დასახიჩრება ვისი მოფიქრებულია?

– ეს დრამატიზმის გამოსაწვევად გამოიყენეს. მინდა, ყველა დაშავებულს სოლიდარობა გამოვუცხადო. მომავალში ეს გამოირიცხება. საზოგადოებამ ამის მომწყობ ძალებსა და რუსეთს უარი უთხრა.

რუსეთის პოლიტტექნოლოგებისათვის კარგი მიგნება და ოქროს საგანძურია ლგბტ-თემა. ისინი ხალხს ტვინს უმღვრევენ იმის მტკიცებით, რომ დასავლეთი რყვნის, რუსეთი კი ტრადიციებს იცავს. სულ ცოტა ხნის წინ თბილისში რუსული სცენარით იგეგმებოდა ლეგიონების შექმნა და ჯგუფებს შორის ცემა-ტყეპა ქუჩებში. ლეგიონერებისთვის განკუთვნილი ჯვრიანი სამკლავურები – 5.000 ცალი ადრევე მომზადდა. ამ რუსულ სცენარში გათვალისწინებული იყო სასულიერო პირების ნაწილის ჩართვაც. ლეგიონების გარეთ გამოსვლას არ მოიწონებდა საზოგადოების ნაწილი და მოხდებოდა შეხლა-შემოხლა. მსოფლიოს თვალში საქართველო გამოჩნდებოდა ფაშისტურ სახელმწიფოდ, სადაც მოქალაქეებს ფაშისტური ლეგიონები არბევენ.

საქართველოს ეკლესიის დისკრედიტაციაც უნდა მოეხდინათ. რუსთაველზე გამოსული საზოგადოების ტალღამ ლეგიონების თემა გადარეცხა. არ გამოვრიცხავ, რომ რუსეთმა ლგბტ-საკითხი და ლეგიონები შემოდგომაზე კიდევ გამოიყენოს. რუსეთის მიერ გეი-საკითხების წამოწევა უსინდისობაა იმ დროს, როცა რუსეთის მონდომებით თავის დროზე თბილისში ჩამოასახლეს სოდომ-გომორული შიიტური სექტა, რომელსაც კინტოებსა და ყარაჩოღელებს ეძახდნენ.

სანამ რუსეთი საბოლოოდ გავა, რაღაც-რაღაცებს კიდევ მოაწყობს. კრემლმა სერიოზული მარცხი იწვნია თურქეთში.

– ერდოღანის პოზიციის შესუსტებას გულისხმობთ?

– ერდოღანმა სტამბოლი დაკარგა. სტამბოლში არჩევნებზე მის კანდიდატს პროდასავლელმა აჯობა. თურქეთის პრეზიდენტს არჩევნებზე ფარულად პუტინი ეხმარებოდა – მან 200 რუსი პოლიტტექნოლოგი თურქეთის პასპორტებით მიავლინა სტამბოლში.

ერდოღანმა დაკარგა კონტროლი ბოსფორი-დარდანელის სრუტეზე. საქართველოც ამ რეგიონში მდებარეობს და აშშ არ ჩაუგდებს ხელში ჩვენს ქვეყანას რუსეთსა და ჩინეთს.

რისთვის გამოიკვლიეს რუსეთში თბილისის მიტინგის მონაწილე გოგოს ვინაობა?

გერმანელი ექსპერტები: „უსაფრთხოდ მხოლოდ ის არის, ვინც პუტინის თამაშის წესებს ემორჩილება“

მარიამ მჭედლიშვილი

რუსეთის დუმის ავადსახსენებელი დეპუტატი გავრილოვი და ჩრდილოელი მეზობელი სახელმწიფოს სხვა წარმომადგენლები

ისევ დაჟინებით მოითხოვენ თბილისში 20-21 ივნისს დაწყებული მოვლენების გამოძიებას, თანაც, რუსებთან ერთად.

როგორც ჩანს, მეზობელ ქვეყანაში გამოძიება დაწყებულია. რუსეთის მედიის ცნობით, დადგენილია, თუ ვის უკავია მიტინგზე რუსეთის შეურაცხმყოფელი ლოზუნგი. რუსებმა გამოარკვიეს, რომ ეს ბიუტი-ბლოგერი სალომე კასრაძეა. მოითხოვს თუ არა გავრილოვი, რომ სალომე კასრაძე ნიკა მელიას გზას გაუყენონ, უცნობია. რუსეთის მოქალაქეების აგრესიის დიდი დოზა კი სალომე კასრაძემ უკვე მიიღო.

ხელისუფლების მიმართ მოწოდებას, დაიცვას სალომე კასრაძისა და სხვების უსაფრთხოება, გასაგები მიზეზების გამო, აზრი არა აქვს. საზოგადოების მხრიდან გამოჩენილ არატრადიციულ პროტესტს აუცილებლად მოჰყვება საგარეო და საშინაო პოლიტიკური მიწისძვრა.

შეუძლებელია, რომ თბილისში 20 ივნისის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა დიდი ძვრების გარეშე ჩაიაროს. საპროტესტო საზოგადოების გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილება დაწყებული გარდატეხის მცირე ნაწილია.

ახლანდელი მოვლენები დაემთხვა რუსეთის ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში სრულფასოვან დაბრუნებას. რუსეთის მიმართ დათმობა პირველმა უკრაინის დელეგაციამ გააპროტესტა. უკრაინელებს მხარი აუბეს საქართველოს, ესტონეთის, ლატვიის, ლიეტუვის, პოლონეთისა და სლოვაკეთის დელეგაციებმა.

ამავე დროს, რუსეთმა გააგრძელა სასურსათო ემბარგო აშშ-ის, უკრაინის, კანადის, ევროკავშირისა და ნორვეგიის წინააღმდეგ. კონტრსანქციები კრემლმა ამ სუბიექტების მიმართ დასავლეთის სანქციების საპასუხოდ შემოიღო.

გერმანელი ექსპერტების დასკვნით, საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება რუსეთის მიმართ ლოიალურ და პრაგმატულ პოლიტიკას ატარებს. 2008 წლიდან რუსეთმა მოახდინა საქართველოს ორი რეგიონის ოკუპაცია. მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელისუფლება კრემლს ნაკლებად აკრიტიკებდა.

საქართველოს ამან არ უშველა. ბოლო დროს რუსეთმა საქართველოს მკაცრი ემბარგო დაუწესა. მათი აზრით, უსაფრთხოდ არის მხოლოდ ის, ვინც პუტინის თამაშის წესებს ბოლომდე ემორჩილება. საქართველო კი, რუსეთის საწინააღმდეგოდ, არ აღიარებდა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს.

– ეს არ არის რუსი ან ქართველი ხალხის დასჯა. ესაა საქართველოს ბიუჯეტის დასჯა და ქართული ადმინისტრაციის გამოფხიზლება, – აცხადებს ემბარგოს თაობაზე რუსეთის დუმის დეპუტატი ევგენი პრიმაკოვი.

ამასთან, იგი ეჭვობს, რომ ეს რუსეთს საქართველოში გავლენას დააკარგვინებს და საქართველოში თურქეთი შევა.

ე.წ. გაფუჭებული სესხების ამომღები კომპანიების ქცევას ახალი კოდექსი დაარეგულირებს

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განცხადებით, ე.წ. გაფუჭებული სესხების ამომღები კომპანიების ქცევას ახალი კოდექსი დაარეგულირებს.

ქვეყნის მთავარი ბანკირის შეფასებით, ამ კომპანიების საქმიანობა არ არის ეთიკური, შესაბამისად, იქნება წესები, რომლებიც მსესხებლებზე ამ კომპანიების წნეხს შეამცირებს.

– კოლექტორების, ე.წ. გაფუჭებული სესხების ამომღები კომპანიების საქმიანობა არ არის მაინცდამაინც ეთიკური, როგორც საჭიროა და დიდ წნეხს განიცდის ხალხი. ჩვენ საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით შევისწავლეთ ეს, თუ რისი გაკეთება შეიძლება ამასთან დაკავშირებით. დაახლოებით 2 კვირის წინ დავდეთ წესები, კოდექსი – თუ რა პრინციპები შეიძლება იქნას გამოყენებული. ჯერ ეს არის სამუშაო მექანიზმი. ვიღებთ შენიშვნებს ამასთან დაკავშირებით.

ვფიქრობ, ეს არის მიმართულება, რომელიც არის მოსაწესრიგებელი. იმ შემთხვევაშიც კი თუ სესხი არის ვადაგადაცილებული და დადეფოლტებული უნდა არსებობდეს ეთიკური პრინციპები, რომლითაც უნდა ხდებოდეს სესხის ამოღება. ეს აუცილებლად შეამცირებს იმ წნეხს, რომელიც ამ მიმართულებით არსებობს“, – განაცხადა სებ-ის პრეზიდენტმა პარლამენტში გამოსვლისას.

BMG

ტაქსის მძღოლებს გადაღებვის, ფირის გადაკვრისა და ქიმწმენდის ვაუჩერების მიღება 10 აგვისტომდე შეეძლებათ

ტაქსის რეფორმის ფარგლებში გადაღებვის, ფირის გადაკვრის და ქიმწმენდის ვაუჩერების მიღება ტაქსის მძღოლებს მიმდინარე წლის 10 აგვისტომდე შეეძლებათ, ხოლო მისი განაღდება 1-ელ ოქტომბრამდე უნდა მოხდეს. ეს ვადები თბილისის მერმა კახა კალაძემ მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე ტაქსის მძღოლებს შეახსენა და რეფორმის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

– მინდა, კიდევ ერთხელ შევეხო რეფორმას, რომელიც გასულ წელს დავიწყეთ, ტაქსების რეფორმის საკითხს. მერიის მიერ შემუშავებული ვაუჩერების გაცემის ვადა მიმდინარე წლის 10 აგვისტოა, რაც იმას ნიშნავს, რომ მსურველებმა შესაბამის მისამართზე უნდა მიმართონ კომპანიას. ვაუჩერის განაღდების ბოლო ვადა მიმდინარე წლის პირველი ოქტომბერია, რაც იმას ნიშნავს, რომ ვაუჩერის განაღდება, ავტომანქანის ფირის შეცვლა (შეღებვა, ან თეთრი ფირის გადაკვრა, ასევე ქიმწმენდა) უნდა მოხდეს პირველ ოქტომბრამდე. მოგეხსენებათ, რომ პირველი ოქტომბრიდან ტაქსების რეფორმის მეორე ეტაპი იწყება. ვაუჩერების განაღდება სწორედ პირველ ოქტომბრამდეა განსაზღვრული. არაერთხელ გვისაუბრია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამ რეფორმის განხორციელება იმისთვის, რომ ბენეფიტი მიიღოს როგორც ტაქსის მძღოლებმა, ვინც ამ სერვისს ახორციელებს, ასევე ადამიანებმა, რომლებიც ამ სერვისით სარგებლობენ. ეს მიმართულება აუცილებლად უნდა იყოს მოწესრიგებული ჩვენს ქვეყანაში, როგორც ზოგადად სატრანსპორტო პოლიტიკაში გვაქვს ნათქვამი. აღარ გავაგრძელებ, რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ტრანსპორტი და რა ნაბიჯებია გადადგმული ამ მიმართულებით, – განაცხადა კალაძემ.

bpn

დემურ გიორხელიძე: „ასე თუ გაგრძელდა, ლარის კურსი 3-ს გასცდება“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ პროცესებზე, ლარის გაუფასურების ტენდენციებზე „ახალი თაობა“ ექსპერტს ეკონომიკის საკითხებში **დემურ გიორხელიძეს** ესაუბრა.

– პატონო დემურ, ლარი საგრძნობლად გაუფასურდა, რა ხდება?

– როცა ქვეყანას ვალუტის შემოდინების სტაბილური წყაროები არა აქვს და დამოკიდებულია ტურისტებისა და საქართველოდან წასული ჩვენი მოქალაქეების გადმორიცხვებზე, ოდნავ შეფერხება რომელიმე მიმართულებით იმოქმედებს, მაგრამ ეს არ არის მთავარი, ამან არ გამოიწვია გაუფასურება.

– მთავარი რა არის?

– გაუფასურება გამოიწვია ნეგატიურმა მოლოდინებმა. როგორც ჩანს, გაჩნდა იმის აუცილებლობა, ვისაც ამის საშუალება აქვს, რომ უცხოური ვალუტა შეიძინოს, რადგან კარგს არაფერს ელის.

– პოლიტიკური სიტუაციაც მოქმედებს ამ ყველაფერზე?

– რა თქმა უნდა, პოლიტიკური სიტუაციაც უარყოფითი მომენტის მომტანია, თუმცა არა ძირითადი ფაქტორია. პრობლემები ლარს აქვს. ის პოლიტიკა, რომელსაც მთავრობა და ეროვნული ბანკი ატარებს, გამორიცხავს ლარის სტაბილურობას, რადგან ტურისტები, ემიგრანტების გადმორიცხვები ვერ ფარავს ამ პრობლემებს.

ფული ძალიან ცოტაა ქართულ ეკონომიკაში, ამიტომ ნებისმიერი შეშფოთება მოთხოვნის, ერთი ან მეორე მიმართულებით ცვლის სიტუაციას. ამიტომ მე არაერთხელ მითქვამს და გავიმეორებ, ნუ აქვთ საქართველოს მოქალაქეებს იმის იმედი, რომ ლარი რაღაც სტაბილურ ჩარჩოში პატარა რხევებით იმოძრავებს. გამორიცხულია, ეს არ მოხდება!

– რატომ არ მოხდება?

– რეალური, ობიექტური და ფუნდამენტური პრობლემები გამორიცხავს ლარის სტაბილურ და პროგნოზირებად კურსს.

– შეზღუდვები ტურისტული მიმართულებით ჯერ ახლახან დაიწყო და გამოდის, რომ კიდევ უფრო მეტ დარტყმას მიიღებს ლარი?

– არა მგონია, რომ ეს ეკონომიკაზე სერიოზულად აისახოს. მცირე ფირმებს ძალიან დააზიანებს, ვინც ტურისტულ სექტორშია დაკავებული, მაგრამ არ დააზიანებს დიდ ფირმებსა და დიდ სასტუმროებს, რადგან მათ თავიანთი კლიენტურა ჰყავთ და დიდი გადატვირთვით მუშაობა მათთვის აუცილებელი არ არის. მცირე და საშუალო ბიზნესს კი ამ მიმართულებით ძალიან დაარტყამს.

– ანუ იქნება დანაკლისი?

– ცხადია, გარკვეული დანაკლისი იქნება, სანქციები დანაკლისის გარეშე არ არსებობს, მაგრამ ამაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული ქართული ეკონომიკის მომავალი. უბრალოდ, მთავრობის არასწორი პოლიტიკის შედეგად ზედმეტად აქცენტირებულია ტურიზმის სექტორი.

ეს არ არის ქვეყნის ეკონომიკის მამოძრავებელი, ეს არასწორი წარმოდგენაა. ტურიზმი კარგი სექტორია და ნორმალური შემოსავლები ქვეყანას უნდა მისცეს და კიდევ უფრო უნდა განვითარდეს, მაგრამ ძალიან სუსტი ინფრასტრუქტურა სერიოზულ, შეძლებულ უცხოელ ტურისტებს აქ არ იზიდავს.

ოღონდ ტურისტი მოატყუონ, მომსახურებაში არანორმალური ფასები დაუწესონ, უხარისხო საკვები და ასე შემდეგ, ეს გამორიცხავს აქ მაღალი დონის ტურისტების მოზიდვის შესაძლებლობას.

მაღალშემოსავლიანი ტურისტები, რომლებიც დიდ ფულს ხარჯავენ, აქ არ ჩამოვლენ, რადგან მსოფლიოში ძალიან ბევრი ადგილია ფანტასტიკური ინფრასტრუქტურითა და ბრწყინვალე მომსახურებით. რატომ მიდიან ქართველები ანტალიაში?! იმიტომ, რომ იქ გაცილებით უკეთესი მომსახურებაა, გაცილებით უკეთესი ფასებია, ვიდრე ბათუმსა და ქობულეთში.

– 3.0 ნიშნულს გასცდება ლარი?

– ასე თუ გაგრძელდა, რა თქმა უნდა, გასცდება. კიდევ ერთი პრობლემა არის ის, რომ ლარის კურსი ძალიან მაღალია დოლართან მიმართებით, მაგრამ მისი ხელოვნურად შერბილება არ გამოვა.

ეკონომიკის სწრაფი განვითარების კვალობაზე ფულის მასა ნელ-ნელა უნდა გაიზარდოს და კურსიც დაიკლებს. სწორი პოლიტიკის შედეგად, სულ მინიმალური ფასი ლარის დოლართან მიმართებით 14-თან მაინც უნდა იყოს. თუმცა ეს არა ხელოვნურად, არამედ ეკონომიკის განვითარების კვალობაზე უნდა მოხდეს.

მოსახლეობას ცუდ დღეში აგდებს ლარის გაუფასურება. ლარის ყოველი რყევა არის საქართველოს მოქალაქეებისგან ნაძარცვი ფული.

კომპანიებს, რომლებიც თევზის ფქვილს აწარმოებენ, ნებართვის აღების ვალდებულება ექნებათ

კომპანიებს, რომლებიც თევზის ფქვილს აწარმოებენ, ნებართვის აღება დასჭირდებათ. ამის შესახებ მთავრობის 12 ივნისის დადგენილებაშია აღნიშნული.

კერძოდ, მთავრობის გადაწყვეტილებით, თევზის ფქვილის მწარმოებელი ბიზნესოპერატორი ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლსა და აღიარებას. აღნიშნული დადგენილება 2019 წლის პირველი ივლისიდან უნდა ამოქმედდეს.

როგორც სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე დავით გობეჯიშვილი „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აღნიშნავს, დადგენილების მიხედვით, ბიზნესოპერატორი, რომელიც აწარმოებს თევზის ფქვილს, სავალდებულო აღიარებას უნდა დაექვემდებაროს.

– ბიზნესოპერატორს ექნება ვალდებულება, შემოიტანოს განაცხადი სააგენტოში და კანონით განსაზღვრული ყველა პუნქტი დააკმაყოფილოს – როგორი უნდა იყოს საწარმო, რა სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს, რათა უზრუნველყოს უვნებელი და უსაფრთხო პროდუქტის წარმოება. აღიარების მინიჭების შემდეგ კი საწარმო უკვე სახელმწიფო კონტროლის ქვეშ იქნება, – აღნიშნავს გობეჯიშვილი.

მისივე ინფორმაციით, საქართველოში დღეს 4 კომპანიაა ფოთში, რომელიც თევზის ფქვილს აწარმოებს და მათ ექსპორტს ახორციელებს თურქეთში. როგორც გობეჯიშვილი აცხადებს, ეს საწარმოები უკვე არიან საქმის კურსში, რომ 1-ლი ივლისიდან სურსათის სააგენტო მათ აღიარებას ქართული კანონმდებლობის მიხედვით მიანიჭებს და ინსპექტირებასაც მოახდენს.

BPN

„შესაძლოა, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა მოუსავლეთში მიდის და ლარი ამის გამოხატულებაა“

– ლარი არსად მიდის. შეიძლება, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა მიდის მოუსავლეთში და ლარი ამის გამოხატულებაა, – ამის შესახებ პროფესორმა ლადო პაპავამ „პალიტრანიუსის“ გადაცემა „360 გრადუსში“ განაცხადა.

მისივე თქმით, ის, რაც ახლა ლართან მიმართებით ხდება, არის არსებული პროცესების გამოძახილი. პაპავას შეფასებით, ლარი გვიჩვენებს, რომ ეკონომიკა დაავადებულია, რომ განუვითარებელია ეკონომიკის რეალური სექტორი, რომ არ გვაქვს საექსპორტო პოტენციალი, ფოკუსირება კი ისევ ტურიზმზე, სასტუმროებსა და რესტორნებზე ხდება, რაც არასწორია.

– არაერთხელ მითქვამს, რომ ტურიზმზე აქცენტის გაკეთებაა შეცდომაა, რადგან არამდგრადი დარგია. ტურიზმი მოწყვლადი დარგია, ხოლო როდესაც არ გაქვს ეკონომიკის რეალური სექტორი განვითარებული, მხოლოდ ტურიზმზე აქცენტის გაკეთება შეცდომაა. რაც ახლა ლართან მიმართებაში ხდება, არის გამოძახილი არსებული ვითარების. ლარი გვიჩვენებს, რომ ეკონომიკა დაავადებულია – განუვითარებელია ეკონომიკის რეალური სექტორი, საექსპორტო პოტენციალი არ გვაქვს, ფოკუსირება ხდება ისევ ტურიზმზე, სასტუმროებსა და რესტორნებზე.

რაც შეეხება ფაქტორებს, რაც ლარის კურსზე ახდენს გავლენას ესენია: ქვეყანაში პოლიტიკური არასტაბილურობა და მოლოდინი ტურისტების შემცირების. კერძოდ, ტურისტების არ შემოსვლა გამოიწვევს სავალუტო ნაკადის შემცირებას და ეს უკვე არის მოლოდინი, რომ შემცირდება უცხოური ვალუტა. აქედან გამომდინარე, მავანნი ცდილობენ თადარიგი დაიჭირონ და ლარის დოლარში გადახურდავებას იწყებენ, რითიც ხელოვნურად ზრდიან მოთხოვნას. ასეთ სიტუაციაში ეროვნული ბანკი განსაკუთრებით ყურადღებით უნდა იყოს, რადგან სავალუტო ბაზარზე მსხვილი ბანკების მხრიდან მანიპულაციები გამორიცხული არ არის, – განაცხადა პაპავამ.

BPN

პირველი ქართული ელექტრომობილის დიზაინს ზვიად ციკოლია შექმნის

– საქართველოს ისტორიაში ახალი ერა იწყება.

ამის შესახებ დიზაინერი, გამომგონებელი ზვიად ციკოლია საკუთარ ფეისბუქგვერდზე წერს, რითაც საქართველოში ელექტრომობილების წარმოების დაწყებას ეხმაურება. როგორც ცნობილია, პირველი ქართული ელექტრომობილის დიზაინზე სწორედ ზვიად ციკოლია იმუშავებს.

„ბიზნესპრესნიუსი“ დიზაინერის პოსტს უცვლელად გთავაზობთ:

– ალბათ უკვე გაიგებდით მედიიდან, რომ გუშინ ქუთაისში იყო AIGROUP-ის პრეზენტაცია და ქუთაისში იწყება ელექტრომობილების წარმოება. მე განსაკუთრებული ემოციები მეუფლება ქართულ პროდუქციაზე და განსაკუთრებით ემოციური ვხდები, როცა ეს ტრანსპორტს ეხება. ასე იყო დიდგორზეც და ლიზის ფრენის დროსაც. მოკლედ, საქართველოს ისტორიაში ახალი ერა იწყება და, დარწმუნებული ვარ, ამ რთულ გზაზე ჩვენ, მთელი გუნდი და მთლიანად საქართველო დიდ წარმატებებს მივაღწევთ! – წერს ზვიად ციკოლია.

შეგახსენებთ, რომ გუშინ ინდუსტრიული ჯგუფი „აი გრუფის“ მიერ ქუთაისში საქართველოს ისტორიაში პირველი ელექტრომობილების მწარმოებელი ქარხნის პროექტის ოფიციალურ პრეზენტაცია გაიმართა. როგორც ღონისძიებაზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ განაცხადა, ქუთაისში წარმოებული ელექტრომობილები მხოლოდ საქართველოს ბაზრისთვის არ იქნება განკუთვნილი.

– ჩვენ ვაშენებთ მწვანე ეკონომიკას. მწვანე ეკონომიკა ნიშნავს, რომ ვავითარებთ ახალ, ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიებს. ქუთაისის ელექტრომობილების მწარმოებელი ქარხანა სწორედ ასეთი პროექტია. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული საწარმო იხსნება სწორედ ქუთაისში, რომელიც ცნობილია თავისი ინდუსტრიული ტრადიციებით. ამ პროექტის განხორციელებით ქუთაისი იბრუნებს მანქანათმშენებლობის დედაქალაქის სტატუსს, – განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა.

პროექტის თანახმად, ინდუსტრიული ჯგუფი „აი გრუფი“ ქუთაისში ინდუსტრიული კომპლექსის მშენებლობას იწყებს, რომელიც 100 ჰა ფართობზე განთავსდება. პირველი პროექტი ელექტრომობილების საწარმოა, სადაც საწყის ეტაპზე დაახლოებით 300 ადგილობრივი მოსახლე დასაქმდება, ხოლო საწარმოს წარმადობა იქნება 5000 ელექტრომობილი. პროექტი ხორციელდება მსხვილი ჩინური კორპორაციის „ჩანგანის“ პარტნიორობით.

ირაკლი კოვზანაძე: „ინფლაციის დონის მიზნობრივი მაჩვენებლისგან საგრძნობი გადახრა ფიქსირდება“

– 2019 წლის 5 თვეში საქართველოში ინფლაციის დონის მიზნობრივი მაჩვენებლისგან საგრძნობი გადახრა ფიქსირდება, – განაცხადა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძემ პლენარულ სესიაზე.

– ინფლაციამ უკვე 4.7% შეადგინა, ნაცვლად მიზნობრივი 3%-სა. წელს უკვე დაფიქსირდა ლარის რეკორდულად დაბალი კურსი მისი 24-წლიანი არსებობის განმავლობაში. როგორც ეროვნული ბანკის ანგარიშშია ნათქვამი და ეს კანონის მოთხოვნაა, ეროვნული ბანკის ძირითადი მიზანი ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფაა. ამასთანავე, მან უნდა უზრუნველყოს ფინანსური სისტემის სტაბილურობა და გამჭვირვალობა და ხელი შეუწყოს ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ ზრდას, – განაცხადა ირაკლი კოვზანაძემ.

კომერსანტი

„როსსელხოზნადზორი“ ქართული მცენარეული პროდუქტის იმპორტის აკრძალვას არ აპირებს

„როსსელხოზნადზორი“ ქართული მცენარეული პროდუქტის იმპორტის აკრძალვის მიზეზს ვერ ხედავს.

ამის შესახებ უწყების ხელმძღვანელმა სერგეი დანკვერტმა განაცხადა. მისი თქმით, სამსახური ქართველ კოლეგებთან საკმაოდ ეფექტურად თანამშრომლობს, – წერს რუსული მედია.

ამასთან, უწყების ინფორმაციით, საქართველოში დღეს რუსეთიდან იმაზე ოთხჯერ მეტი პროდუქცია შედის, ვიდრე რუსეთში შემოდის იქიდან.

– ჩვენ დღეს პოლიტიკურ საკითხებს არ ვეხებით. ჩვენ გვაინტერესებს ეკონომიკური და უსაფრთხოების საკითხები. ჩვენ დიდი ხანია ვმუშაობთ საქართველოს შესაბამის სამსახურთან და ურთიერთგაგება საკმაოდ კარგ დონეზეა, – განაცხადა მან.

BPN

ნიკა მელიას საქალაქო სასამართლომ 30.000-იანი გირაო შეუფარდა

გუშინ, 27 ივნისს, საქალაქო სასამართლომ არ გაითვალისწინა პროკურატურის შუამდგომლობა ნიკა მელიას დაპატიმრების შესახებ და მას 30.000-იანი გირაო შეუფარდა.

მოგვიანებით სასამართლომ მისი გადაწყვეტილება განმარტა.

„27 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით მომართა საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ბრალდებულ ნიკანორ მელიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, ნიკანორ მელიას ბრალად ედება: ჯგუფური მოქმედების ხელმძღვანელობა, რასაც თან ახლდა ძალადობა, რბევა, სხვისი ნივთის დაზიანება და განადგურება, იარაღის გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა და მათზე თავდასხმა; ჯგუფურ მოქმედებაში მონაწილეობა, რასაც თან ახლდა ძალადობა, რბევა, სხვისი ნივთის დაზიანება და განადგურება, იარაღის გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა და მათზე თავდასხმა.

პროკურორმა შუამდგომლობით ითხოვა ნიკანორ მელიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება მისი მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენის, მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხეების გათვალისწინებით, ასევე მიუთითა ბრალდებულის მიერ სხვა საქმეზე შეფარდებული მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების – გირაოს პირობების დარღვევის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლომ, შუამდგომლობის განხილვისას, საქმის მასალების შეფასებისა და მხარეთა პოზიციების მოსმენის შემდეგ, მიიჩნია, რომ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით არსებობს ბრალდებულ ნიკანორ მელიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის აუცილებელი ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლები.

სასამართლომ მიიჩნია, რომ აღკვეთის ღონისძიების მიზნების უზრუნველყოფა შესაძლებელია ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების, 30.000 ლარის ოდენობით გირაოს პირობებშიც.

ბრალდებულს გირაოს გადახდის ვადად განესაზღვრა 20 დღე“, – ნათქვამია საქალაქო სასამართლოს განცხადებაში.

ნიკა მელიას სასამართლომ დამატებითი ვალდებულებები დააკისრა.

კერძოდ, მას აეკრძალა საცხოვრებელი ადგილის (სახლის) დატოვება საგამოძიებო ორგანოს ინფორმირებისა და თანხმობის გარეშე; საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას საჯარო განცხადებების გაკეთება; მოწმეებთან ნებისმიერი სახის კომუნიკაცია.

მასვე დაეკისრა საგამოძიებო ორგანოსთვის პასპორტისა და პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ჩაბარების ვალდებულება.

„ამდენად, გაზრდილი გირაოს ოდენობის და დამატებითი ვალდებულებების დაკისრების პირობებში, სასამართლომ მიიჩნია, რომ სრულად იქნება უზრუნველყოფილი აღკვეთის ღონისძიების მიზნები.

სასამართლოს განმარტებით, გირაოს პირობებისა და დამატებითი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, ბრალდებულის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება გირაო შესაძლოა შეიცვალოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით“, – ნათქვამია განცხადებაში.

საქმეზე წინასასამართლო სხდომა დაინიშნა 2019 წლის 14 აგვისტოს, 12:00 საათზე, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

ვიტალი საფაროვის მკვლელობისთვის გიორგი სოხაძესა და ავთანდილ კანდელაკიშვილს 15-15 წელი მიესაჯათ

მოკლული უფლებადამცველის ვიტალი საფაროვის საქმეზე ბრალდებულები გიორგი სოხაძე და ავთანდილ კანდელაკიშვილი სასამართლომ დამნაშავედ ცნო.

გიორგი სოხაძესა და ავთანდილ კანდელაკიშვილს 15-15 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე შორენა გუნცაძემ გუშინ, 27 ივნისს, გამოცხადა.

ვიტალი საფაროვი 2018 წლის 30 სექტემბერს დიუმას ქუჩაზე მოკლეს. ის არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩართულობისა და განვითარების ცენტრში“ მუშაობდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ვიტალი საფაროვის დამამძიმებელ გარემოებებში, ჯგუფურად განზრახ მკვლელობაში ბრალდებულები ა.კ. და გ.ს. დამნაშავედ ცნო.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2018 წლის 30 სექტემბერს, დაახლოებით 04:30 საათზე, ქ.თბილისში, ალექსანდრე დიუმას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე ა.კ.-მ და გ.ს.-მ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, შურისძიების მოტივით, მოკვლის მიზნით ვიტალი საფაროვს დაზიანებები მიაყენეს. ა.კ.-მ დანით ვ.საფაროვს სხეულის სხვადასხვა არეში მიაყენა ჭრილობები, ვ.საფაროვი შეეცადა, თავი დაეღწია მისგან, რაც ვერ მოახერხა, ვინაიდან ზურგის მხრიდან იგი გ.ს.-მ დაიჭირა და იმ დროს, როდესაც ა.კ. აგრძელებდა საფაროვისთვის ჭრილობების მიყენებას, ე.წ. კასტეტით დაზიანებები მიაყენა.

მიღებული დაზიანებების შედეგად ვ.საფაროვი წაიქცა, ხოლო ა.კ. და გ.ს. შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. ვიტალი საფაროვი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ა.კ. და გ.ს. იმავე დღეს დააკავეს. მათ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში – ჯგუფურად) და 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა ეროვნული შეუწყნარებლობის გამო) წარედგინათ და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ორივე ბრალდებულს წარდგენილი ბრალდებიდან ამოურიცხა 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი (განზრახ მკვლელობა ეროვნული შეუწყნარებლობის გამო), ისინი დამნაშავედ ცნო 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში – ჯგუფურად) და სასჯელის სახედ და ზომად 15-15 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

❖ ❖ ❖

სასამართლოს გადაწყვეტილებას პროკურატურა ნაწილობრივ დაეთანხმა.

„საქართველოს პროკურატურა აღნიშნულ გადაწყვეტილებას, ბრალიდან 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის ამორიცხვის ნაწილში, სააპელაციო წესით გაასაჩივრებს და ორივე პირის ამ ნაწილში დამნაშავედ ცნობას და მათთვის სასჯელის დამძიმებას მოითხოვს“, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

ყარაჯალაში 37 წლის მამაკაცი მოკლეს

მოკლული ყაზახეთიდან რამდენიმე დღის წინ ჩამოვიდა

თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალაში 37 წლის მამაკაცი მოკლეს. ახალგაზრდას თანასოფლელმა ცეცხლსასროლი იარაღი ესროლა. იგი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. გულმკერდის არეში დაჭრილი მამაკაცი თელავის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა, ექიმების თქმით, ის უკვე გარდაცვლილი იყო.

ადგილობრივები მომხდარს წარსულში არსებულ კონფლიქტს უკავშირებენ.

მათივე განცხადებით, მოკლული მამაკაცი ყაზახეთში ცხოვრობდა და ის სოფელში რამდენიმე დღის წინ ჩავიდა.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, განზრახ მკვლელობის მუხლით დაიწყო.

თელავში 50 წლის მამაკაცმა თავი მოიკლა

თვითმკვლელობა მოხდა თელავში – სოფელ რუისპირის მკვიდრმა 50 წლამდე მამაკაცმა თ.მ.-მ თავი, როგორც ადგილობრივები ამბობენ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო მოიკლა.

გავრცელებული ინფორმაციით, მამაკაცს სიმსივნე ჰქონდა.

ლელვის ნახარშის გამოყენების გამო 21 წლის გოგოს სხეულის 25% დაეწვა

დამწვრობის ცენტრში 21 წლის გოგო ლელვის ნახარშის გამოყენების შედეგად მიღებული ქიმიური დამწვრობის გამო მკურნალობს. მას სხეულის 20-25 პროცენტი აქვს დამწვარი. დაზიანებულია ძირითადად ქვედა კიდურები.

ინფორმაციას ამის შესახებ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ავრცელებს.

დამწვრობის ცენტრის დირექტორ გუგა ქაშიბაძის თქმით, სამწუხაროდ, წელსაც დაფიქსირდა ლელვის ნახარშის გამოყენების შემთხვევა. გუგა ქაშიბაძე ამბობს, რომ გოგონა კლინიკაში მდგომარეობის გაუარესების გამო გამთენიისას შეიყვანეს და დამწვრობა იმდენად სერიოზულია, რომ სრულ რეაბილიტაციას ორი კვირა დასჭირდება.

დამწვრობის ცენტრში მზისგან მიღებული დამწვრობის გამო 7 პაციენტი მკურნალობს, მათ შორისაა 5 წლის ბავშვი. პაციენტების ნაწილს, დამწვრობის გარდა, გადახურება აღენიშნება.

ექიმები მოქალაქეებს მოუწოდებენ, არ გამოიყენონ ლელვის ნახარში, ასევე ურჩევენ, 11:00 საათიდან 17:00 საათამდე პერიოდში თავი შეიკავონ ხანგრძლივად მზეზე ყოფნისგან და გამოიყენონ მზისგან დამცავი საშუალებები.

ხულოში მკვლელობაში ბრალდებულს პატიმრობა შეუფარდეს

ბათუმის საქალაქო სასამართლომ ხულოში მომხდარი მკვლელობის საქმეზე დაკავებულ რემზი ბოლქვაძეს აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეუფარდა.

მოსამართლე ვიოლეტა ფორჩხიძემ პროკურორის შუამდგომლობა დაეკმაყოფილა, ბოლქვაძის ადვოკატი კი გირაოს გამოყენებას ითხოვდა.

– ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიება იქნება გამოყენებული, რადგან გვაქვს წარსულში ნასამართლობა, განმეორდა დანაშაული. ასევე პოლიციელებია დაჭრილი, არსებობს რისკი, რომ ძალადობა კიდევ გაგრძელდეს, – განმარტა მოსამართლემ.

გამოძიება დაკავებულს განზრახ მკვლელობასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას ედავება.

მკვლელობა 25 ივნისს მოხდა. სოფელ ხიხაძირში ურთიერთშელეპარაკებისას რემზი ბოლქვაძემ თანასოფელს სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა, დაკავებისას კი პოლიციელებს ცეცხლი გაუხსნა, რის შედეგადაც 2 სამართალდამცავი მსუბუქად დაიჭრა.

მკვლელობის მოტივად შურისძიება სახელდება.

სასჯელი 16-დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს.

საქმის არსებითი განხილვა 15 აგვისტოს დაიწყება.

მანანა ჩოხელი ხის ფიცარზე მოსწავლეებთან იჯდა, რომლებიც წამოდგნენ და მასწავლებელი 25-მეტრიან ხევში გადავარდა

ყინწვისში ექსკურსიაზე მყოფი თბილისის მე-14 საჯარო სკოლის მასწავლებელი მანანა ჩოხელი კლდიდან გადავარდა და ადგილზე დაიღუპა.

როგორც ირკვევა, მანანა ჩოხელი ყინწვისში ექსკურსიაზე მოსწავლეებთან ერთად იყო, როდესაც დიდი სიმაღლიდან გადავარდა და დაიღუპა.

გარდაცვლილის კოლეგები ამბობენ, რომ ჩოხელი ხის ფიცარზე მოსწავლეებთან ერთად იჯდა. მოსწავლეები ფოტოს გადასაღებად წამოდგნენ, როდესაც პედაგოგმა წონასწორობა დაკარგა და ხევში 25 მეტრის სიმაღლიდან გადავარდა.

მე-14 სკოლის მასწავლებლების თქმით, ადგილზე სამაშველო და სასწრაფო სამსახურის წარმომადგენლები დროულად გამოცხადდნენ, თუმცა თავის არეში მძიმე ტრავმების გამო პედაგოგის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

მანანა ჩოხელი გუშინ, 27 ივნისს, დაკრძალეს.

გამოძიება 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ყირგიზეთის ყოფილ პრეზიდენტ ალმაზბეკ ატამბაევს პარლამენტმა იმუნიტეტი მოუხსნა

ყირგიზეთის პარლამენტმა ალმაზბეკ ატამბაევს ექსპრეზიდენტის სტატუსი მოუხსნა, რაც იმუნიტეტის გაუქმებას ნიშნავს.

ამ გადაწყვეტილებას ხმა 110 დეპუტატიდან 103-მა მისცა.

წინა კვირაში ყირგიზეთის პარლამენტმა პროკურატურას გადასცა დეპუტატთა სპეციალური კომისიის მიერ მომზადებული და პარლამენტის ხმათა უმრავლესობით დამტკიცებული ბრალდებების სია ექსპრეზიდენტის მიმართ. დეპუტატების აზრით, პრეზიდენტი გარეული იყო კორუფციაში ბიშკეკის თბოელექტროსადგურის მოდერნიზაციისას, მიწებისთვის სტატუსის უკანონო შეცვლაში, კრიმინალური ავტორიტეტის აზიზ ბატუკაევის გათავისუფლებაში ყალბი სამედიცინო ცნობების საფუძველზე, ძალაუფლების უზურპაციასა და სხვა კანონდარღვევებში.

გენერალურმა პროკურატურამ ნაწილობრივ დაუჭირა მხარი ბრალდებებს. კერძოდ, ექსპრეზიდენტს მოუხსნა ძალაუფლების უზურპაციის, ასევე პოლიტიკური ოპონენტებისა და ჟურნალისტების დევნის ბრალდება. პროკურატურას მიაჩნია, რომ დანარჩენ ბრალდებებს აქვს საფუძველი. ბრალდებების დამტკიცების შემთხვევაში ატამბაევს სამუდამო პატიმრობა ემუქრება.

ექსპრეზიდენტი მის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებს აბსურდულს უწოდებს და მზად არის, პასუხი აგოს თავის საქმიანობაზე პრეზიდენტობის დროს. თუმცა, ისიც განაცხადა, რომ არ აპირებს შეასრულოს „ბრალდებულის დამამცირებელი როლი გამოგონილ დანაშაულებში“.

ალმაზბეკ ატამბაევის სახლთან, დედაქალაქის გარეუბანში მდებარე სოფელ კოი-ტაში, შეიქმნა შტაბი ჟურნალისტებისა და მისი მომხრეებისათვის.

მისასვლელ გზაზე დააყენეს ბეტონის დამცავი ბარიერები და დადგეს რამდენიმე კარავი, რომლებშიც განთავსდა შტაბიც.

ექსპრეზიდენტის სახლთან თავი მოიყარა მისმა რამდენიმე ასეულმა მომხრემ.

სტანიცა ლუგანსკაიასთან ჯარების დაშორიშორება დაიწყო

დონბასში სტანიცა ლუგანსკაიასთან დაიწყო რუსეთისა და უკრაინის ჯარების დაშორიშორების პროცესი, რაც მინსკის შეთანხებებით არის გათვალისწინებული.

დაშორიშორების პროცესს ეუთო-ს დამკვირვებლები ადევნებენ თვალს. დაშორიშორებაში უშუალოდ მონაწილეობს უკრაინის გაერთიანებული ძალების სარდალი, გენერალი სირსკი.

– ჩვენ მიერ მიღებულია ყველა ღონისძიება საიმისოდ, რომ უკრაინელთა პოზიციები არ დასუსტდეს, – ნათქვამია გაერთიანებული ჯარების მთავარი შტაბის განცხადებაში.

ანგელა მერკელი ოფიციალურ შეხვედრაზე კვლავ შეუძლოდ გახდა

გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი გერმანიის პრეზიდენტ ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერთან მიღების ღონისძიებაზე შეუძლოდ გახდა.

კანცლერს წყალი შესთავაზეს, მაგრამ მან უარი თქვა.

მოგვიანებით გერმანიის მინისტრთა კაბინეტმა გაავრცელა ოფიციალური განცხადება, რომლის თანახმადაც, ანგელა მერკელი თავს კარგად გრძნობს და იაპონიაში „დიდი ოცეულის“ სამიტზე გამგზავრებას გეგმავს.

წინა კვირაში ანგელა მერკელი შეუძლოდ უკრაინის პრეზიდენტ ვლადიმირ ზელენსკის დახვედრის ცერემონიის დროს გახდა.

ტრამპი და პუტინი ერთმანეთს 28 ივნისს შეხვდებიან

ცნობილი გახდა პუტინისა და ტრამპის შეხვედრის თარიღი. როგორც პუტინის თანაშემწე უშაკოვმა განაცხადა, ეს დიდი ოცეულის სამიტზე 28 ივნისს მოხდება.

– შეხვედრა ერთ საათს გაგრძელდება, – ამბობს უშაკოვი.

მოლაპარაკების უმთავრესი თემები იქნება სირია, ირანი და უკრაინა, კერძოდ, უკრაინელი სამხედრო ტყვეების გათავისუფლება და ომი დონბასში.

ტუნისში 2 აფეთქება მოხდა

ტუნისის დედაქალაქის ცენტრში 2 აფეთქება მოხდა.

პირველი აფეთქება ხაბიბ ბურგიბის ხალხმრავალ ქუჩაზე, საფრანგეთის საელჩოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ახლოს მოხდა. თვითმკვლელმა ტერორისტმა თავი აიფეთქა პოლიციის მანქანასთან. ამ აფეთქებისას 4 ადამიანი დაიჭრა.

მეორე აფეთქება ტერორიზმთან ბრძოლის სამმართველოს შენობასთან მოხდა. თვითმკვლელმა ტერორისტმა შენობაში შესვლა ვერ შეძლო და ავტოსადგომზე თავი აიფეთქა.

დაღუპულია 1 პოლიციელი და დაჭრილია 9 პირი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სანამ ლეოპარდები ერთმანეთს ტახის გამო ეჩხუბებოდნენ, ნადავლი გაიქცა

სამხრეთ აფრიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში ტურისტები ტახის გამო ლეოპარდების ორთაბრძოლის თვითმხილველები გახდნენ. ერთერთი მათგანის მიერ გადაღებული ვიდეო იუთუბიზე პარკის გვერდზე გამოქვეყნდა.

ვიდეოს ავტორ 33 წლის ტარინ რეის თქმით, პირველი ლეოპარდი ტახს, რომელიც მასზე გაცილებით დიდი იყო, ზევიდან დაახტა. ცხოველი ჭყვიტინებდა, გათავისუფლებასა და მტაცებლისთვის ეშვების ამორტყმას ცდილობდა, მაგრამ ლეოპარდს ის კისრით მაგრად ეჭირა.

ხმაურმა სხვა ლეოპარდის ყურადღება მიიქცია. როდესაც ის თანამოძმეს მიუახლოვდა, პირველი იძულებული გახდა, ნადავლისთვის თავი დაენებებინა და თავდაცვაზე გადასულიყო. სანამ მტაცებლები ერთმანეთს ებრძოდნენ, ტახმა თავს გაქცევით უშველა.

– მათ ვერც კი შენიშნეს, რომ შოკში მყოფი და დაჭრილი ტახი ბუჩქნარიდან გამოძვრა და თავისი სოროსკენ გაიქცა, – განაცხადა რეიმ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

შეიისყიდით წიგნებს!

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ჟოაო ფელიქსი ატლეტიკოში გადადის სატრანსფერო ჭორ-მართალი

ედენ აზარის მადრიდის რეალში გადასვლის შემდეგ ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი ჯერჯერობით მეორე მადრიდულმა კლუბმა, ატლეტიკომ გააკეთა.

პორტუგალიური ბენფიკას ვებგვერდზე დადასტურდა, რომ თავდამსხმელი ჟოაო ფელიქსის ტრანსფერთან დაკავშირებით ატლეტიკოსგან წინადადება მიიღო. როგორც განცხადებაშია ნათქვამი, მადრიდელებმა მათ 126 მილიონი შესთავაზეს და გააატიურეს გამოსასყიდი თანხის შესახებ პორტუგალიელი მოთამაშის კონტრაქტში არსებული პუნქტი.

ესპანური მედიის ცნობით, ტრანსფერი უახლოეს დღეებში გაოფიციალურდება და ჟოაო ფელიქსი ფეხბურთის ისტორიაში მე-4 ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშე გახდება. ფელიქსზე მეტი თანხა მხოლოდ ნეიმარში (222), კილიან მბაპესა (180) და კოუტინიოშია (140) გადახდილი.

სავარაუდოდ, ფელიქსი ატლეტიკოსთან 5-წლიან კონტრაქტს გააფორმებს. როგორც ესპანურ პრესაში წერენ, ატლეტიკომ ეს თანხა ანტუან გრიზმანის გაშვების შემდეგ მიიღო. მათი ვარაუდით, გრიზმანის ტრანსფერი სულ მალე კატალონიის ბარსელონაში უნდა გაოფიციალურდეს.

2018-19 სეზონში ფელიქსმა ყველა ტურნირზე ერთად გამართულ 43 მატჩში 20 გოლი და 11 საგოლე გადაცემა დააგროვა.

მატიის დე ლიხტის გარშემო ჭორ-მართალი არ წყდება. როგორც იტალიურმა გამოცემებმა დაწერეს, ჰოლანდიელმა იუვენტუსთან პირადი კონტრაქტი შეათანხმა. აიაქსის მცველი ტურინულ გრანდთან 5-წლიან კონტრაქტს გააფორმებს, ხოლო მისი ხელფასი წელიწადში 12 მილიონი ევრო იქნება ბონუსების ჩათვლით.

თუ დე ლიხტი ბიანკონერის შეუერთდება, მისი გამოსასყიდი თანხა 150 მილიონი ევრო იქნება, სწორედ ეს ფაქტორი გახდა გადამწყვეტი პსჟ-ში მისი ტრანსფერის ჩაშლის, რადგან გამოსასყიდი თანხის პუნქტის ჩადება რომელიმე ფეხბურთელის კონტრაქტში საფრანგეთში აკრძალულია. პარიზელები ცდილობდნენ, სხვაგვარად დაეყოლიებინათ ფეხბურთელის აგენტი, მინო რაიოლა, თუმცა მათ ეს ამბავი არ გამოუვიდათ.

გუნდებს შორის მოლაპარაკება იწყება, აიაქსის სპორტული დირექტორი მარკ ოვერმარსი არ განიხილავს არც ერთ წინადადებას, რომელიც 75 მილიონ ევროზე ნაკლებია, რადგან სწორედ ამ თანხას სთავაზობდა პარიზული გუნდი აიაქსს დე ლიხტის სანაცვლოდ.

ტურინის იუვენტუსი ასევე მზად არის, პოგბას სანაცვლოდ 2 ფეხბურთელი დათმოს. იტალიელები მანჩესტერ იუნაიტედს ფრანგი ფეხბურთელის სანაცვლოდ ბარტერს სთავაზობენ – არგენტინელ შემტევ პაულო დიბალასა და ბრაზილიელ მარცხენა მცველ ალექს სანდროს.

დიბალა და სანდრო გასულ სეზონში იუვენტუსის ძირითადის ფეხბურთელებად არ ითვლებოდნენ. გამომდინარე აქედან, კლუბის დატოვების წინააღმდეგი არც ერთი არ არის.

„წითელი ეშმაკების“ დამრიგებელმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა კლუბის ხელმძღვანელობას სთხოვა, რომ შემადგენლობის დაკომპლექტება 1 ივლისამდე მოხდეს.

გადავინაცვლოთ პარიზში. სულ ცოტა ხნის წინ ფრანგული კლუბის სპორტული დირექტორი ლეონარდო გახდა, რომელიც გასულ სეზონში მილანში მუშაობდა და მისი დასრულების შემდეგ კარი მიუხურეს.

როგორც ჩანს, ლეონარდოს სხვაგვარად აქვს „შურისძიება“ ჩაფიქრებული.

პარი სენ-ჟერმენს მილანის მეკარის, ჯანლუიჯი დონარუმას დამატება სურს. როგორც იტალიელი ჟურნალისტები წერენ, პარიზელებმა რომსონერის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებები დაიწყეს.

მილანი ახალგაზრდა მეკარის სანაცვლოდ 50 მილიონ ევროს ითხოვს. ასევე პსჟ-ში არ გამორიცხავენ, რომ შეთანხმებაში თავიანთ მეკარე ალფონს არეოლა ჩართონ. არეოლას ფასი დაახლოებით 30 მილიონია, ასე რომ შესაძლებელია დონარუმას სანაცვლოდ 20 მილიონი და ალფონსო არეოლა მიიღოს მილანმა.

გავაგრძელოთ მეკარეების თემა: ჩვენ უკვე ვწერდით, რომ ვალენსიამ ბარსელონის სათადარიგო გოლკიპერი, იასპერ სილესენი გადაიბირა. როგორც „ღამურების“ ვებგვერდი წერს, ჰოლანდიელი მეკარის სანაცვლოდ კლუბმა 35 მილიონი ევრო გადაიხადა.

სილესენი ბარსელონის ღირსებას 3 სეზონის განმავლობაში იცავდა. მთლიანობაში, მან მხოლოდ 32 მატჩში მიიღო მონაწილეობა, მათგან 24-ჯერ შეხვედრა ესპანეთის თასის ეგიდით იმართებოდა.

კატალონიურ კლუბთან ერთად სილესენმა ორი ლა ლიგა, ორი კოპა დელ რეი და ერთი ესპანეთის სუპერთასი მოიგო.

საქართველო გუნდურ მე-3 ადგილს ინარჩუნებს



მინსკის მე-2 ევროპული თამაშები დასასრულს უახლოვდება და საქართველოს ნაკრები გუნდურ ჩათვლაში კვლავაც მე-3 ადგილზეა. ეს ფანტასტიკური შედეგია. ვერ გეტყვით, როდემდე გაგრძელდება ასე, მაგრამ ამის დაჯერება მინსკში მყოფ ყველა სპეციალისტს უჭირს.

6 ოქროს, 6 ვერცხლისა და 10 ბრინჯაოს მედალი – ასეთია ჩვენების მონაგარი, რომელიც აუცილებლად გაიზრდება. მინიმუმ 3 მედალი გარანტირებულია, რადგან ფინალშია თავისუფალი სტილით მოჭიდავე, ნახევარფინალში 2 მოკრივე და ფინალში სტარტზეა გამოსასვლელი ზაზა ნადირაძე.

ამას დავუმატოთ, რომ ტურნირი არ დაწყებულა ბერძნულ-რომაულ სტილით მოჭიდავეთა შორის და ასევე – კარატეში.

თავისუფალი სტილით მოჭიდავემ გივი მაჭარაშვილმა მინსკის მეორე ევროპულ თამაშებზე დაბეგვებული მედალი მომდევნო დღეს მოიპოვა.

მძიმე წონით კატეგორიაში მოასპარეზე ქართველმა ფინალში რუსეთის წარმომადგენელ ანზორ ხიზრიევთან გადამწყვეტი შეხვედრა 2:8 წააგო. შედეგად, 23-წლამდელებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონმა მაჭარაშვილმა საქართველოს ნაკრების ვერცხლის მონაგარი ექვსამდე გაზარდა. აქვე უნდა ითქვას, რომ მაჭარაშვილისთვის ეს იყო დებიუტი მძიმე წონაში. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა გენო პეტრიაშვილმა ტრავმა ვერ მოიშუშა და მწვრთნელებმა მძიმე წონაში სწორედ მაჭარაშვილი დააყენეს, მან კი მინსკში ღირსეულად იჭიდავა და კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ავიდა.

ანგარიშმა არ მოგატყუოთ. ჩვენებური ბოლო წამამდე 2:3 მარცხდებოდა, იქ გარისკა, მეტოქეს თავზე გადაევლო და ისე სცადა ქულის მოპოვება, მაგრამ წონას ვერაფერი მოუხერხა და 5-ქულიანზე თავად დაეცა.

გივი აქამდე 97 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამოდიოდა, ამიტომაც გაუჭირდა 25-30 კილოგრამით მძიმე სპორტსმენებთან ჭიდილი. ეს თავადაც აღნიშნა.

გივი მაჭარაშვილი:

– უპირველესად, მადლობა მინდა ვუთხრა მწვრთნელებს ამხელა ნდობის გამოცხადებისთვის. ვეცადე, მაქსიმუმი გამეკეთებინა მოსაგებად, მაგრამ არ გამმივიდა, თუმცა ვიმედოვნებ, რომ მომავალში გამოვასწორებ. ფინალში, ალბათ, უფრო იმან შემიშალა ხელი, რომ წონა არ მეყო. თანაც წინა დღეს დაძაბული შეხვედრები გავიარე და გამიჭირდა. ნახევარფინალში აზერბაიჯანელ მაგომედოვთან დაპირისპირებაში ცოტა გამოვიფიტე კიდეც, ბევრი ენერგია დავხარჯე და ძალების აღდგენა გამიჭირდა. ფსიქოლოგიურადაც ვერ ვიყავი სათანადო განწყობაზე. ეს მედალი ჩემთვის ბევრს ნიშნავს. ამ ჯილდოს, უპირველესად, საქართველოს ვუძღვნი, მერე კი ჩემს ოჯახს.

ანზორ ხიზრიევი:

– არც მე და არც არავის აზრადაც არ შეიძლებოდა მოსვლოდა, რომ გამარჯვებისთვის შესაძლებელი იყო ასეთი ილეთის გაკეთება. მეგონა, მეტოქე ფეხებში შემივარდებოდა, რასაც ძალიან კარგად აკეთებს. ეს რამდენიმეჯერ გამოუვიდა, თუმცა ერთი შემთხვევის გარდა, წარმატებულად დავაღწიე თავი. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ის ზემოდან დამახტა, მე, უბრალოდ, წამოვიწიე და უკან გადავგორდი – აი, სულ ეს იყო. მართალი გითხრათ, ჯერ ვერ მივხვდი, რა მოხდა, ვერ შევიგნე. გასაგებია, მნიშვნელოვანი, დიდი გამარჯვებაა. ჯერ-ჯერობით მეჩვენება, თითქოს არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა.

ბრინჯაოს მედლის შანსი წარმატებით გამოიყენა ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს და მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელმა ავთანდილ კენჭაძემ (74 კგ), რომელმაც მასპინძელ აზამატ ნურიკაუს 8:5 მოუგო და კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ასვლის პატივი დაიმსახურა. ჩვენებური სოლიდურად იგებდა (8:2), ამიტომაც ბოლო წამებზე მეტოქეს ქულები დაუთმო იმის გამო, რომ არ გაერისკა...

ფინალში გასვლით ასპარეზობისთვის მედალი დაიბევა ჩვენი გუნდის ყველაზე ტიტულიანმა წევრმა ვლადიმერ ხინჩეგაშვილმაც (65 კგ), რომელმაც მედლისკენ მიმავალ გზაზე მოლდაველი და რუსი ფალავნები დაამარცხა. განსაკუთრებით პრინციპული იყო ხინჩეგაშვილისა და ახმედ ჩაკაევის (რუსეთი) დაპირისპირება. ზემო წონით კატეგორიაში გადასულ ქართველ ფალავანს ჩაკაევთან ადრინდელი შეხვედრა წაგებული ჰქონდა და ამჯერად დამაჯერებელი რევანში აიღო. ევროპის, მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ქართველ ჩემპიონს ხვალ გადამწყვეტ შეხვედრაში აზერბაიჯანელ ჰაჯი ალიევთან მოუწევს ევროპული თამაშების ოქროს მედლისთვის ბრძოლა.

ბრინჯაოს მედლისთვის იჭიდავებს ელიზბარ ოდიკაძე (97 კგ), რომელმაც მერვედფინალში სომეხ სარგის ჰოვსეპიანთან 13:2 მოგებული ორთაბრძოლის შემდეგ აზერბაიჯანელ ნურმაგომედ გაჯიევთან 3:7 წააგო, მაგრამ მეტოქე ფინალში გავიდა და ჩვენებურიც მედლისკენ გაიყოლა. ოდიკაძე პოლონელ რადოსლავ ბარანს დაუპირისპირდება, გამარჯვების შემთხვევაში კი მესამე ადგილისთვის უკრაინის წარმომადგენელს მურაზ მჭედლიძეს შეხვდება.

საქმეში ჩაერთო მედლის მოპოვების რეალური კანდიდატი, კანოისტი ზაზა ნადირაძეც, რომელმაც 200 მეტრ დისტანციაზე წინასწარ რბოლაში საუკეთესო შედეგი აჩვენა (39.421) და ნახევარფინალის გამოტოვებით, ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა.

კაიაკით 200 მეტრ დისტანციაზე ნახევარფინალური რბოლა 35.118 წამში დაფარა და ხვალ მეორე ფინალურ ჯგუფში ასპარეზობის უფლება მოიპოვა ბადრი ყაველაშვილმა, რომელმაც წინასწარ რბოლაში დისტანცია 35.227 წამში დაფარა და 21 მონაწილეს შორის მე-9 შედეგი ჰქონდა.

კანოეთი 200 მეტრ დისტანციაზე ნახევარფინალური ბარიერი 52.392 წამში დაფარა და მთავარ ფინალში გამოვა მარიამ ქერდიკაშვილი, რომელსაც უკეთესი შედეგი (51.526) წინასწარი რბოლისას ჰქონდა.

წარმატებით გამოდის საქართველოს მოკრივეთა გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორი ოთარ ერანოსიანი (60 კგ), მან მეორე წრეში აზერბაიჯანელ ჯავიდ ჩალაბიევს მოუგო და მინიმუმ ბრინჯაოს მედალი განაღდებული აქვს. ნახევარფინალში ერანოსიანის მეტოქე იქნება რუსეთის ნაკრების წევრი გავილ მამედოვი.

ტორპედო იცლება, პასუხი არ ჩანს

ორიოდე კვირაც და ქუთაისის ტორპედოს ევროტურნირებზე მოუწევს თამაში. ბოლო წლებში ტორპედო ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი სიმპათიური გუნდი იყო, რომელსაც თავისი სათამაშო ხელწერა გაჩნდა. კახა ჩხეტიანის გუნდი 2 წელი ერთად მოდიოდა და უკვე მოედანზეც იგრძნობოდა შეთამაშება. თუმცა...

„ბებერი კონტინენტის“ ეგიდით გამართულ ტურნირებზე ქართული გუნდებიდან ყველაზე სუსტი გუნდი სწორედ ტორპედო იქნება და, სავარაუდოდ, კიდევ ერთ ქართულ სირცხვილს ჩავიწერთ ევროტურნირებზე. რიონისპირული გუნდი უკვე 9 ფეხბურთელმა დატოვა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არ არის დასასრული.

იმერული კლუბიდან ამჯერად გიორგი ქიმაძე წავიდა. როგორც გითხარით, 27 წლის ფეხბურთელი რიგით მე-9 მოთამაშეა, რომელმაც ევროთასების წინ კახა ჩხეტიანის გუნდი დატოვა. აქამდე კლუბიდან მამუკა კობახიძე, ოლექსანდრ აზაკი, ნიკოლა სტიეპოვიჩი, რიჩარდ ლუკა, მერაბ გიგაური, ლევან გეგეჭკორი, ამბროსი ჩაჩუა და ნოდარ ქავთარაძე წავიდნენ.

გავრცელებული ინფორმაციით, ქიმაძე კარიერას თბილისის დინამოში გააგრძელებს.

წამსვლელთა გზას ადგანან ეროვნული ლიგის საუკეთესო ბომბარდირი ბუდუ ზივზივაძე და საყრდენი ნახევარმცველი მათე ცინცაძე. ისინი ბოლო მატჩში განაცხადში არ ყოფილან და იქნებ ამ სტრიქონების წაკითხვის დროს, აღარც გუნდში იყვნენ.

ფეხბურთელები მიდიან არსებული დავალიანების გამო და ეს ხდება გუნდში, რომლის ბიუჯეტი 10 მილიონ ლარზე მეტი იყო.

საწყენია, რომ ასეთი საინტერესო გუნდი ამ დღეში აღმოჩნდა. კიდევ უფრო საწყენია, რომ არავინ იცის, ეს თანხა სად წავიდა და არც არავინ ჩანს მომკითხავი.

გიორგი გაბედავა: „საბურთალოსთვის ახალი ეტაპი იწყება“

2018 წლის სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი გიორგი გაბედავა ნახევარი წელი პოლონეთში თამაშობდა. თუმცა, მისი გუნდი სოსნოვეცი დაქვეითდა და ქართველი ფეხბურთელიც სამშობლოში დაბრუნდა.

გაბედავა საბურთალომ დაიმატა და ევროტურნირებისთვის მოძლიერდა. სწორედ ამ თემით იწყებს საუბარს საბურთალოელთა ახალწვეული.

გიორგი გაბედავა:

– ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ბოლოს 5 სავარაუდო მეტოქე იყო. წილისყრამ მოწინააღმდეგედ მოლდოვის შერიფი გვარგუნა. მომავალი ტურნირის ყველას დიდი მოლოდინი გვაქვს. საბურთალოში ცხოვრების ახალი ეტაპი იწყება. ვეცდებით, 2 თამაშის ჯამში გამარჯვებულები დავრჩეთ. შერიფი გამოცდილი კლუბია, რომელიც სისტემატურად თამაშობს ევროტურნირებზე. მაგრამ, ჩვენ ჩვენი უპირატესობის გამოყენებას ვეცდებით და ყველაფერს გავიღებთ სასურველი მიზნის მისაღწევად.

– ევროტურნირებზე საბურთალო სადებიუტო მატჩს სტუმრად გამართავს. ჰქონდა თქვენთვის მნიშვნელობა, პირველი მატჩი სად გაიმართებოდა?

– ვფიქრობ, მცირე უპირატესობა გაქვს, როდესაც მეორე შეხვედრას საკუთარ კედლებში თამაშობ. პირველი შეხვედრიდან გამომდინარე იცი მეტოქის სათამაშო სტილი, ანგარიში და, შესაბამისად, მეორე შეხვედრაში შეგიძლია, საკუთარ კედლებში შენი თამაში მოახვიო.

– ამ წყვილში გამარჯვებული მეორე ეტაპზე ზაგრების დინამოს შეხვდება. რა შეგიძლიათ თქვათ ხორვატებზე?

– ისევე, როგორც შერიფი, ზაგრების დინამოც გამოცდილი კლუბია. ხორვატებთან ბევრად რთული იქნება თამაში, თუმცა ამ ეტაპზე მთავარი საზრუნავი შერიფის ბარიერის დაძლევაა.

– საბურთალო წლეულს ახალი გამოწვევების წინაშეა. რთული არ იქნება 3 ფრონტზე ბრძოლა?

– წლეულს განსაკუთრებული წელია, გუნდს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე, დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშებასა და ჩემპიონატში უწევს ძალების სრულად გამოვლენა. საბურთალოს აქვს იმის რესურსი, რომ ძალები თანაბრად გადაანაწილოს. ყველა პოზიციაზე 2-2 თანაბარი დონის ფეხბურთელი გვყავს, კლუბში დიდი კონკურენციაა. დაკისრებულ ამოცანას თავი წარმატებით უნდა გავართვათ.

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

ჩიხურამ დილა დაამარცხა

ჩიხურა-დილა 4:1

ივანწმინდა. ცენტრალური

1:0 ფანცულაია (8), 2:0 დეკანოიძე (22), 2:1 ფორტესი (44), 3:1, 4:1 მახარობლიძე (75, 88)

ჩიხურა: ჰამზიჩი, კამლაძე, მაისაშვილი, კორიფაძე, მეგრელიშვილი, მამასახლისი, მარკოზაშვილი, სარდალიშვილი, ჩიხლაძე (ერგემლიძე 84), ფანცულაია (ჩიტეიშვილი 69), დეკანოიძე (მახარობლიძე 61)

დილა: ბეგაშვილი, გიორბელიძე, მირცხულავა, ჩადუნელი, ნონდი, რაზმაძე (სპანდერაშვილი 77), კოუგბენია, ფორტესი, კუცია (ლემპტი 71), ნონიკაშვილი (პაიმი 77), გოშთელიანი

საჩხერის ჩიხურამ 5-მატჩიანი მოუგებელი სერიის შემდეგ მე-20 ტურში პირველი გამარჯვება მოიპოვა. ივანწმინდაში გამართული შეხვედრა სოსო ფრუიძის შეგირდებმა გორის დილას წინააღმდეგ გამართეს და დიდი ანგარიშით – 4:1 მოიგეს.

მე-8 წუთზე მასპინძლები გიორგი ფანცულაიამ დააწინაურა, რასაც 22-ე წუთზე ბესო დეკანოიძის მიერ გატანილი გოლი მოჰყვა. სტუმრებმა მატჩში ინტრიგის დაბრუნება პირველი ნახევრის მიწურულს მოახერხეს – ერთი ბურთის გაქვითვა ალვინ ფორტესმა მოახერხა.

შეხვედრის მეორე ნახევარი კვლავ მასპინძელთა კარნახით ნარიმართა. საჩხერელებმა დარჩენი დროში კიდევ 2 ბურთი გაიტანეს და 3 ქულის მოპოვების საკითხი გადაწყვიტეს. უნდა აღინიშნოს რომ სოსო ფრუიძემ შეცვლები გამოიცნო – დუბლით თავი ბიძინა მახარობლიძემ გამოიჩინა, რომელსაც ასისტენტობა ორივეჯერ რევაზ ჩიტეიშვილმა გაუწია.

მოამზადა მისეილ ყორჟოლიანსმა

სატუნინიო ცხრილი:

1.დინამო (ბთ)	20	12	3	5	33-20	39
2.საბურთალო	20	12	3	5	36-24	39
3.დინამო (თბ)	19	11	2	6	35-22	35
4.ტორპედო	20	10	4	6	42-31	34
5.ლოკომოტივი	20	9	2	9	25-23	29
6.ჩიხურა	20	6	8	6	28-22	26
8.დილა	20	6	4	10	21-26	22
8.სიონი	19	6	4	9	23-47	22
9.რუსთავი	19	3	6	10	21-34	15
10.ვიტ ჯორჯია	19	4	2	13	11-26	14

ორი წლის ბავშვმა ბებიის პისტოლეტით თავი დაიჭრა

ამერიკის სამხრეთ კაროლინის შტატის ქალაქ გრინვილში ორი წლის ბიჭმა ბებიის ხელჩანთაში პისტოლეტი იპოვა და შემთხვევით თავი დაიჭრა.

გრინვილის ოლქის პოლიციის მონაცემებით, კეიდენ ჯონ სტაბერი ბებიისა და დეიდის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. თამაშის დროს ბავშვმა ბებიის ხელჩანთიდან შეუმჩნევლად ამოიღო დატენილი პისტოლეტი და შემთხვევით თავში ისროლა.

პოლიციელები გამოძახების ადგილზე ადგილობრივი დროით დაახლოებით 13:35 საათზე მივიდნენ. ისინი შეეცადნენ, სასწრაფო დახმარების მისვლამდე სამედიცინო დახმარება აღმოეჩინათ დაჭრილი ბავშვისთვის, მაგრამ ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა. ბიჭი საავადმყოფოში გადაყვანის დროს, გზაში გარდაიცვალა.

გამომძიებელმა დაადასტურა, რომ ბავშვის გარდაცვალების მიზეზი ცეცხლსასროლი იარაღიდან შემთხვევით გაკეთებული გასროლის შედეგად მიყენებული ჭრილობა გახდა.

ინტუიციამ მამაკაცს მსხვილი მოგება მოუტანა

ამერიკის მიჩიგანის შტატის ქალაქ იპსილანტის მცხოვრები ლატარიაში თამაშის დროს წინასწარმეტყველებიან ორცხობილაში ამოსულ ციფრებს იყენებდა და შედეგად 351,2 ათასი დოლარი მოიგო.

61 წლის მამაკაცი, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, წლების მანძილზე ლატარიის ბილეთებში წერდა ციფრების კომბინაციას 04-11-21-28-38, რომელიც ერთხელ მას წინასწარმეტყველებიან ორცხობილაში ამოუვიდა.

– ამ რიცხვებით ძალიან დიდხანს ვთამაშობდი, – იხსენებს ხანში შესული მამაკაცი, – აღარც კი მახსოვს, თუ როდის ამომივიდა ეს წინასწარმეტყველური რიცხვები, მაგრამ ინტუიცია მკარნახობდა, რომ ისინი წარმატებას მომიტანდნენ.

აზარტული თამაშების მოყვარულმა ლატარიის ბილეთი ერთ-ერთ ადგილობრივ მაღაზიაში შეიძინა. მამაკაცი თავის ქალიშვილთან ერთად შვილიშვილს მართვის მოწმობის აღებას ულოცავდა.

– როგორც კი ისინი წავიდნენ, ლატარიის ბილეთი შევამოწმე და ვნახე, რომ ხუთი ციფრი დაემთხვა, – ამბობს ამერიკელი, – მომიწია ყველასთვის დამემტკიცებინა, რომ მართლაც მოვიგე, ვინაიდან არავის სჯეროდა.

მამაკაცი მოგებული თანხის ნაწილით ოჯახის წევრებისთვის საჩუქრების ყიდვას აპირებს.

ასტროპროგნოზი

28 ივნისისთვის

ვერძი – ფუჭი საუბრები, არასაჭირო ურთიერთობები უსიამოვნებას შეგამთხვევთ. კრიტიკული დღეა. საყიდლებზე წასასვლელად სხვა დრო შეარჩიეთ. **კურო** – ფინანსებს გაუფრთხილდით. ფული ეკონომიურად ხარჯეთ. გარისკვა გაუმართლებელია. **ტყუპები** – მიღებულ შემოთავაზებას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. მეგობრებთან ურთიერთობა გაგახალისებთ. **კირჩხიბი** – ოცნება აგისრულდებათ. საქმიანი შეხვედრები სასურველ შედეგს არ გამოიღებს. **ლომი** – დღის ნეგატიურ ტენდენციებს თქვენი სითამამე და აქტიურობა გააქარწყლებს. ერიდეთ კონფლიქტს კოლეგებთან. **ქალწული** – ემოციები აკონტროლეთ. მოთმინება და თავშეკავება უსიამოვნებას თავიდან აგაცილებთ. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა სოციალური კონტაქტებისათვის. პირად ცხოვრებაში ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციები ჭარბობს. **ღრიანცალი** – საქმიანი ურთიერთობები არ გაამართლებს. გუნება-განწყობა ხშირად გეცვლებათ. **მშვილდოსანი** – კომერციულ სფეროში არ იაქტიუროთ. კარგი იქნება დასვენება და გართობა უახლოესი მეგობრების წრეში. **თხის რქა** – ახალგაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობისას იფრთხილეთ. ამბიციურობა და კატეგორიულობა დღეს დაგაზარალებთ. **მერწყული** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. ზომიერება დაიცავით ნებისმიერი საქმიანობისას. სერიოზულ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **თევზები** – რეალობა ადეკვატურად მიიღეთ. ილუზიებისაგან საჩქაროდ გათავისუფლდით. ჯანმრთელობას მეტი ყურადღებით მოეკიდეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვორდი ბ



შვეულად: 1. კომპანია „ტესლას“ დამფუძნებელი; 2. ხელოვნური წყალსაცავი რაჭაში; 3. მამლების ჩხუბი; 4. სათამაშოების მწარმოებელი დანიური ფირმა; 5. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი ირანში; 6. სხეულთა წონასწორობის შემსწავლელი მექანიკის ნაწილი; 9. ორთქლის ან აირის სითხედ გადაქცევა; 10. პანიკური ჭორების გამავრცელებელი ადამიანი; 11. ქონების პერიოდული აღწერა; 14. უნგრული ღვინო; 16. ეგვიპტის დედაქალაქი; 18. მაღალხარისხოვანი ყავის ჯიში; 20. იატაკის ხის საფარი; 23. ჩახურებული ფქვილი; 24. სოხუმის ძველი სახელწოდება; 25. სიყვარულის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 26. გნოლის, კაკბის, ხოხბის ბარტყი.

თარაზულად: 7. კუჭქვეშა ჯირკვალი; 8. დიდი ძეგლი; 12. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 13. ყოველდღიური გაზეთი თურქეთში; 15. მასმედიის ერთ-ერთი სფერო; 17. განმარტებითი ხასიათის შენიშვნა; 19. ბრინჯაოს ძველი ქართული სახელწოდება; 21. აღმოსავლურ საკრავებზე დამკვრელთა პატარა ჯგუფი; 22. კათოლიკე მღვდელი საფრანგეთსა და ბელგიაში; 27. უმაღლესი მწვერვალი სამხრეთ ამერიკაში; 28. რაიმე დანიშნულების საგანთა სრული შემადგენლობა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ახტალა; 2. კრეიგი; 3. წახნაგი; 4. პაოლინი; 5. სოპრანო; 7. არიფანა; 11. ზებრა; 12. მინდია; 13. ბოქაული; 14. კაიზერი; 15. ჩანახი; 17. მახვში; 19. ჭოტი.

თარაზულად: 5. საჩხერე; 6. ლამარია; 8. გოია; 9. ბახში; 10. ალმასი; 11. ზღვა; 13. ბანკნოტი; 14. კობზა; 16. ამადუ; 18. ოჰარა; 20. როიტერი; 21. ხორშაკი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. შპრეე; 2. ურავი; 3. ბაღდათი; 4. მაცა; 5. ლადა; 6. მიტარბი; 9. სკანდინავია; 10. პროზელიტი; 11. სამტრედია; 14. ფობია; 16. ბრიჯი; 18. ფრეგატი; 20. გორგაძე; 23. ჭონი; 24. ალილო; 25. ბუუი; 26. გომი.

თარაზულად: 7. ფასანაური; 8. პარანომია; 12. საარი; 13. ზაირი; 15. დუნაი; 17. ბოგდიხანი; 19. აბატი; 21. პერტი; 22. შიფრი; 27. სტიპენდია; 28. თურმანიძე.

კეიტ მიდლტონმა მეგან მარკლს აჯობა

სასექსის ჰერცოგი და ჰერცოგინია ჟურნალ თატლერ-ის ვერსიით წლის ყველაზე გავლენიანი ადამიანების რეიტინგში ვერ მოხვდნენ და ეს იმ დროს, როდესაც კემბრიჯის ჰერცოგი და ჰერცოგინია რეიტინგის სათავეში მოექცნენ. სია „სოციალურად გავლენიანი“ პიროვნებების სახელებით გამოცემის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა.

ამგვარად რეიტინგის პირველ ადგილზე აღმოჩნდნენ ბრიტანეთის პრინცი უილიამი და მისი მეუღლე კეიტ მიდლტონი. მათ მოჰყვებიან მსახიობი იდრის ელბა მეუღლე-მოდელ საბრინასთან ერთად. მესამე ადგილზე კი განლაგდნენ ნავთობ-მილიარდერის ფინანსისტი შვილთაშვილი ჯოზეფ გეტი საიუველირო ნაკეთობების დიზაინერ მეუღლე საბინასთან ერთად.

აღსანიშნავია, რომ რეიტინგის მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა დევიდ და ვიქტორია ბექჰემების შვიდი წლის ქალიშვილი ჰარპერი. ამ დროს კი მისი მშობლები სიაში შესულები არ არიან. გამოცემის ჟურნალისტებმა აღნიშნეს, რომ მისი ექვსი წლის იუბილეს აღნიშნვნა ბუკინჰემის სასახლეში გაიმართა.

გავლენიანი პიროვნებების სიაში ასევე მოხვდნენ, ფეხბურთელები ჯეიმი რედნაპი და ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი, მომღერალი პერი ედვარდსი, ასევე ბიზნესლედი კაროლ ბემფორდი მეუღლე ენტონისთან ერთად.

გერმანელი საქმრო რუსმა საცოლემ უფულოდ დატოვა

რუსეთის ქალაქ ვლადიკავკაზის (ჩრდილოეთ ოსეთი) მცხოვრებმა ქალმა გერმანელი პენსიონერის ფულით სახლი იყიდა და ფულის დაბრუნებაზე უარი განუცხადა.

2004 წელს მიჰაელ ზლოვიგმა ლუდმილა მელიკოვა ინტერნეტით გაიცნო. რამდენიმე წლის შემდეგ მამაკაცმა მასთან ვლადიკავკაზში საცხოვრებლად გადასვლა გადაწყვიტა. მისი თქმით, სურდა, რომ სიბერე შეყვარებულის გვერდით, მის სამშობლოში გაეტარებინა.

იმისთვის, რომ ქალს ბინა ეყიდა და გაერემონტებინა, ზლოვიგმა მას 69 ათასი ევრო გადაურიცხა. მალე გაირკვა, რომ მელიკოვამ უძრავი ქონება თავის სახელზე გაიფორმა. ბინის დაბრუნებაში ქალი მილიონ რუბლს ითხოვდა, რომელიც მან თითქოსდა მის შეკეთებაში დახარჯა. ზლოვიგი დათანხმდა და 2008 წელს მას მოთხოვნილი თანხა გადაუხადა.

გერმანელის გამგზავრების შემდეგ ქალმა ბინა თავის ქალიშვილზე გადააფორმა, ამასთან, როგორც მატერიალური მინდობილობა, ისე ყიდვა-გაყიდვის შეთანხმება, რომლითაც მან ისარგებლა, გაყალბებული იყო.

2018 წელს სასამართლომ დაადგინა, რომ მელიკოვა და მისი ქალიშვილი ბინიდან გამოესახლებინათ, ხოლო უძრავი ქონება ზლოვიგისთვის დაებრუნებინათ.

ამის შემდეგ მელიკოვამ სასამართლოში შემხვედრი სარჩელი შეიტანა და ბინის დაბრუნება მოითხოვა. ახლა უკვე ის ამტკიცებს, რომ ბინის შეკეთება მას 6,5 მილიონი რუბლი დაუჯდა. ის და მისი ქალიშვილი ისევ ზლოვიგის ბინაში ცხოვრობენ, მას კი, ცდილობენ, თავს მოახვიონ შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, ის ბინის სანაცვლოდ მხოლოდ 48 ათას ევროს მიიღებს და, ამავე დროს, მელიკოვას 6,5 მილიონ რუბლს გადაუხდის. ამ საქმის შემდგომი განხილვა 29 ივლისისთვის არის დანიშნული.

ნიანგის თავდასხმას დედა და ბავშვი ემსხვერპლნენ

ზამბიის პროვინცია მუჩინგაში ნიანგმა ორი ადამიანი მოკლა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

31 წლის ქალი თავის ერთი წლის ბავშვთან ერთად მდინარე ლუნგაგვაზე წყლისთვის იყო წასული. სავარაუდოდ, ისინი მდინარეში ნიანგმა ჩაითრია. მუხინგას პროვინციის პოლიციის კომისარ ჯოელ ნიანსეს თქმით, დაღუპულების ცხედრების ძებნა გრძელდება.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ დახმარებისთვის ბუნებისა და ეროვნული პარკების დეპარტამენტს მიმართა და აპირებს, მომხდარის გამოძიება გააგრძელოს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

მერამდენე გულისტკივილით მოგონება!

პაატა, დედას სითბო აკლია, ჩემს გულს, რომელიც ნაადრევად ჩაკალი. მენატრები ბოლო მონატრებამდე. მშვიდი, უშფოთველი ცხოვრება და სიცოცხლე მინდოდა, მაგრამ ვინ გაძლევს. ჩემთვის ცხოვრება 1999 წლის 26 ივნისს გაჩერდა, საიდანაც არეული მაქვს რეალობა... ამას მხოლოდ მე ვხვდები.

მე შემიძლია ვიამაყო შენი შვილობითა და დატოვებული სახელით. შენ ხომ მშვიდი სახელით იცხოვრე და სიკვდილსაც ასე მორჩილად გაჰყევი. შენ არაფერი გაკლდა, მაგრამ, უფრო კარგი რომ გქონოდა, მე ეს ვერ შევძელი. ცუდ დროში მოგიწია ახალგაზრდობა, მაგრამ, გახსოვდეს, რომ ჩვენი ძაფი არ წყდება. არც ახლა მინდა, დაგაკლო რამე. შენ უხილავი ხარ ჩემთვის, მაგრამ მუდამ ვგრძნობ შენს სითბოს, შენს ღიმილს, შენს დახმარებას. მუდამ ჩემთან ხარ, თუ არა, სიკვდილი სჯობია ჩემს არსებობას. ვწვალობ, ვერ ვანაწილებ დროს, ჩემო სითბოთი სავსე შვილო. ცოტაც და, ჩვენი დაშორება აღარაა ხანგრძლივი... გელოდები, შვილო... თუ ჩემი წამოსვლის დრო არ არის, მაშინ დამეხმარე, გამათავისუფლე ბოროტი სულებისგან. ყველასთვის საუკეთესო ძმა და ნათესავი იყავი, მაგრამ შენი სიკვდილი, მგონი, არც ისე... აღმოჩნდა, მხოლოდ დედის ტკივილი არ იკურნება არც დროთი და არც სხვაზე ზრუნვით. ჩემი ცხოვრება მაინც პრობლემის მოგვარებაშია, ამიტომ ვცოცხლობ ორივეს მაგივრად. მინდა, ზერელედ ვუყურებდე ყველაფერს, მაგრამ ამის ღირსები თქვენ არ ხართ. ჩვენ იმდენი ნაწვალები და ნაშრომები ვართ ჩვენი ცხოვრების შექმნაზე, რომ ადამიანთა მოდგმას შეგაძულებს, მაგრამ თურმე ერთი მიწური სჯობია გქონდეს. არც ისე მდიდრები ვიყავით, სულ ჩვენით ვწვალობდით ყველაფერს. რა გადავიტანეთ, ამას რომ მივაღწიეთ. ახლა კი 20 წელია, მტვერს და ნაგავს მიაქვს ყველაფერი. გთხოვთ, დამიწერეთ მადლობის წერილი ჩემი ქმარშვილისთვის, რომ მათ ოჯახს ჰყავს პატრონი, მის დედასა და ცოლს. გადამაგდებინეთ წამლები, შემიცვალეთ ცხოვრება, ცოტა დამრჩენია და, თუ გააკეთებთ, მხოლოდ გულით და ადამიანურად. ეს არ ეკუთვნის ერთს, ამას ვთხოვ ყველას, ვინც წაკითხვის შემდეგ შეიგრძნობს. ყველასთან მაქვს გავალება და როგორი, ის უკვე აღარავის ახსოვს. ძალიან მრისხანე წერილია, მაპატიე, შვილო, ვიცი, თქვენ არ გეწყინებათ. ეს ყველაფერი სწორია და ზედმეტი არაფერია. თუ ზედმეტია, პასუხს მივიღებ, რომელიც არავის უჭირს. საჭიროა, იყო თბილი, ისეთი, როგორიც პაატა იყო, უყვარდა მშობლები, ოჯახი და ნათესაობა. პატივს სცემდა მეგობრებს, უხაროდა მათთან ყოფნა, ცდილობდა, სიტყვა არავისთვის დაებრუნებინა, თუ ის საზიანო იყო. რა დამაწერინებს იმას, როგორიც პაატა იყო და არც მინდა, შევადარო ვინმეს. გთხოვთ, ნუ მომაგონებთ წერილში სულ შვილს. მომეცით უფლება, რამეზე ვესაუბრო და მეც მქონდეს თავისუფალი ცხოვრება. ხელოვნური არაფერი მინდა. მინდა, რომ გაგებით მოეკიდოთ ყველაფერს და არა ჰაერში გაფრენილი ბუზივით.

მამუკა, მე 4 წლამდე შვილი ხმამაღლა და ცრემლით არ მიტირია სასაფლაოზე. ეს შენთვის, რომ მე ზედმეტი სითბო არ გამომემჟღავნებინა და არ მეთქვა ისეთი რამე, რომ შენთვის გადასახარშად მძიმე ყოფილიყო. ეს ჩემთვის სრული შეზღუდვა იყო. არ ვიცი, სწორი იყო თუ არა, ამის გაკეთება. ჩვენ უკვე შევეჩვიეთ ერთმანეთს და, მგონი, ზედმეტადაც. გამგები და შემჩვევი უკვე ყველაფერს გაიგებდა. თუ გამიგებთ, ასეა და...

მამუკა, შენ პაატას ისე კარგად არ იცნობდი და არც ჩვენი ყოფაცხოვრების იცი ბევრი რამე, როგორ მოვაღწიეთ და მოვედით აქამდე, მიუხედავად იმისა, რომ შენ ჩემი სისხლი და ხორცი ხარ, დრომ და ასეთმა ცხოვრებამ ისე დაგვაშორა ერთმანეთს. ძნელია, გაგიგოს ვინმემ. ის, რაც ჩემს თავს დატრიალდა, ბუნებრივია, სხვისთვის, ეს არის წუთიერი შოკი, დედისთვის და ოჯახისთვის ტკივილი შეუხორცებელი. ამიტომ გთხოვ, გაახილო თვალები და გახსნა გონება, საკმაოდ დიდი ხარ ამისთვის და მიყურე, როგორც ადამიანს, იყავი თბილი, გიყვარდეს ოჯახი, ნათესავები, მეგობრები და ახლობლები.

შვილო, ეს ხალხი დავღალე ამ სასაფლაოზე სიარულით, 20 წელია. წელიწადში ორჯერ ეს ხდება ხათრითა თუ შეცოდებით. ეს მხოლოდ მათ გულებშია ასახული. იციან, ამ დღეებში რომ ვერაფერს დაგეგმავენ, რომ მეტკინება თითოეულის არმოსვლა. ესენი ჩემი სიცოცხლეები არიან, შენ შემდეგ. 23 წლიდან ამათთან ვატარებ ჩემს ცხოვრებას. შვილო, შენს ასაკზე არასდროს ვფიქრობ, შენ ყოველთვის 34 წლის იქნები, რამდენიც მაშინ. მხოლოდ ვფიქრობ ჩემი თვალების ხედვაზე, მანამდე კი აქ ვიქნები ყოველთვის.

პაატა, როგორ გინდოდა ჩემი ცხოვრების შეცვლა, მაგრამ მე ისევ ორმოში ვარ. ყველა თვალებში მიყურებს, რას მოვიმოქმედებ. ყველაზე განადგურებული ახლა ვარ, არ ვადარებ შენს წასვლას. შურითა და თვალით ყოფილხარ შეჭმული და დააგვირგვინეს კიდეც. ისეთ მდგომარეობაში ვარ, რომ შეიძლება, ვერც გამოვიდე. ერთს მეორე ემატება და... კარგად იყავი. ძალა მომეცი, ნათელი არ მოგაკლდეს!

შენი განადგურებული დედი ღუღუნი ჯუღელი



ზურაბ მარშანიას
მონატრება

ჩვენო ზურაბ, შენ დღეს შეგისრულდებოდა 83 წელი. ჩვენ, პენსიონერთა საძმო, აღვნიშნავთ შენს დაბადების დღეს თექვსმეტიანში – პენსიონერთა ოფისში.

ჩვენ არასდროს დაგვავიწყდები!

უფალმა სასუფეველი დაგიმკვიდროს!

პენსიონერთა საძმოს სახელით, რამიზა ჩხაიძე

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

მიხეილ ზაქარიაშვილი: „ნაცები და ქოცები რომ ჯგუფურად აგინებთ ერთმანეთს, ეს ნორმალურია?“

კითხულობს მომღერალი მიხეილ ზაქარიაშვილი და ცდილობს, კითხვაზე პასუხი თვითონვე იპოვოს:

– ერთი რა მაინტერესებს, იცით? ნაცები და ქოცები რომ ჯგუფურად აგინებთ ერთმანეთს, ეს ნორმალურია? ნაცებს მილიონამდე ამომრჩეველი ჰყავს და „ოცნებას“ – მილიონზე მეტი. დავიჯერო, ამდენ ხალხში ან ნათესავი არ გყავთ? ან მეგობარი? ან მეგობრის შეყვარებული? ან მეგობრის და? ან ძმა? ან დედა? ზოგს ოჯახის წევრი ჰყავს განსხვავებული აზრის და ერთმანეთს აგინებთ, თქვე შობელძაღლებო?

მართლა მე თუ ვაგინებ ვინმე პოლიტიკოსს, პირადად ვამბობ სახელსა და გვარს და, თუ უნდა, პასუხს გამცემს, ან გავცემ კაცურად და თანაც ვიცი, კონკრეტულ პირს რატომ ვაგინებ! ასე რომ აბრეხვებთ, ცოტა დაფიქრდით, რა!

ახლა მღვდლებმაც დაიწყეს ნაცია, ქოცია, ეკლესიაში რომ მოდიან, ასე ასხვავებთ ერთმანეთისგან? ქოცის მამა ხარ და ნაცის მამინაცვალი ან პირიქით, თქვეჩემისებო? არსებობს ქართველი ერი, ამ ერში ზოგი ქიხი კაცია, ზოგიც კარგი, შეიძლება, ორი მილიონი დავრჩით უკვე ალბათ და ყველა ერთმანეთს აგინებდეს? და ჩვენ მომავალი გვექნება?

ნინი წიკლაური: „რუსეთი მკვლელია!“

მომღერალი ნინი წიკლაური ახალგაზრდების პროტესტს ამერიკიდან უერთდება და აცხადებს, რომ რუსეთი ოკუპანტი და მკვლელია:

– რუსეთი მკვლელია!

რუსეთი ოკუპანტია!

რუსეთი მტერია!

და შენ, ვინც იმის გამო არ აფიქსირებ შენს აზრს, რომ გეშინია, „ზეგ“ გალაკონცერტიდან არ ამოგიღონ აზრის დაფიქსირებისთვის, მოღალატე ხარ!

ყველა მკვლელი და მოღალატეა ვინც დუმს!

მე, მომღერალი ნინი წიკლაური, ვაფიქსირებ ჩემს აზრს, რომ არ ვართ იმხელა ერი, „რუსეთების“ გამო ვიღუპებოდეთ!

ქედს ვიხრი თქვენ წინაშე, ხალხო, ვინც რუსთაველზე იდექით და ჩვენს მომავალს იცავდით!

ირაკლი ჟვანია: „ეს ქვეყანა ვიღაცამ უნდა დაალაგოს“

მოქანდაკე ირაკლი ჟვანია გამოცდილ, ჭკვიან და ღირსეულ ადამიანებს ურჩევს, სეირის შორიდან ყურებას ქვეყნისთვის რაიმე სასიკეთო მოიფიქროს:

– ეს ქვეყანა ვიღაცამ უნდა დაალაგოს. ესენი ამის გამკეთებელი ვერ არიან, სულ უფრო იძაბება გარემო.

გამოცდილებო, ჭკვიანებო, ღირსეულებო, რომლებიც ბევრნი ხართ და არ ჩანხართ, გთხოვთ, ნუ უყურებთ სეირს შორიდან ტელევიზორით, ადექით და რაიმე მოიფიქრეთ, არავინ გააკეთებს თქვენ მაგივრად გასაკეთებელს. არ სჭირდება ამას პარტია და არჩევნები. საზოგადოება სჭირდება, მეტი არაფერი. ახალგაზრდებს ნუ აკეთებინებთ თქვენს გასაკეთებელს.

არის მომენტი, როდესაც ვალდებული ხარ, მიეხმარო ქვეყანას.

ნატაშა ლომოური მწერალთა სახლიდან ზედმეტი კვალიფიციურობის გამო გაუშვეს

მწერალთა სახლის ყოფილი ხელმძღვანელი ნატაშა ლომოური სამსახურიდან ზედმეტი კვალიფიციურობის გამო გაუშვეს და რიგით თანამშრომლადაც კი არ დატოვეს:

– მოკლედ, ასე გაგრძელდა ჩვენი ამბავი – მიუხედავად იმისა, რომ მზად ვიყავი, რიგით თანამშრომლად დავრჩენილიყავი მწერალთა სახლში მხოლოდ იმიტომ, რომ დაწყებული ძალიან მნიშვნელოვანი საქმეები მიმეყვანა ბოლომდე, შემომითვალეს – გასაუბრებაზეც კი არ მოხვიდეო.

მიზეზი ასეთი ცინიკურია – ზედმეტად კვალიფიციური ხარო.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კანადელი გრიზლის სასწაულებრივად გადაურჩა

კანადის პროვინცია ბრიტანეთის კოლუმბიის მკვიდრმა ისაუბრა დათვ გრიზლის თავდასხმაზე. ინციდენტი მას მიმდინარე წლის მაისში შეემთხვა.

50 წლის ალექს ნიუმანი მტაცებელს ქალაქ პრინს-ჯორჯის მახლობლად, მდინარის პირას გადაეყარა, რომელიც მისი საყვარელი სათევზაო ადგილია. წყლის ხმაურის გამო მას დათვი, რომელიც ზურგიდან მიუახლოვდა, არ შეუნიშნავს. გრიზლიმ მას კბილები მხარში ჩაასო და ჰაერში აიტაცა.

– მის თავს ვებღაუჭებოდი, როდესაც მიკბინა, – ყვება კანადელი, – ასე რომ არ მოვქცეულიყავი, დამგლეჯდა.

მტაცებელმა ცხოველმა ის რამდენჯერმე შეჯანჯღარა, შემდეგ კი ბუჩქნარში მოისროლა. ამის შემდეგ მამაკაცით დაინტერესდა სამი ბელი, რომლებიც დედას ახლდნენ.

– ყოველ ჯერზე, როდესაც ბელები მიახლოვდებოდნენ, დედა დათვი აგრესიული ხდებოდა, – ამბობს ნიუმანი, – ყურები დაშვებული, კბილები დაკრეჭილი, თავდაპირველად ის იღრინებოდა, შემდეგ მძიმედ სუნთქვა დაიწყო, ისე, რომ მთელი სხეულით შევიგრძნობდი.

მამაკაცი მიხვდა, რომ სანამ დრო იყო, თავისთვის უნდა ეშველა. ის ნელა წამოდგა ფეხზე და ბილიკისკენ გაიქცა. დათვი უკან მიჰყვა და მის პიკაპთან მივიდა. ის ღრიალებდა და თათს მიწას ურტყამდა, პირიდან კი დორბლი გადმოსდიოდა.

– არ ვიცი, როგორ ვარ ცოცხალი, – აღნიშნა მამაკაცმა.

საავადმყოფოში ექიმებმა მას ვერ აღმოუჩინეს ვერც მოტეხილობები და ვერც ისეთი ჭრილობები, რომლებიც ნაკერების დადებას საჭიროებდა. მას მხოლოდ გრიზლის ნაკბილარები ეტყობოდა მხარზე. მამაკაცს ანტიბიოტიკები მისცეს, თუმცა ნაიარევზე ანთება მაინც დაემართა. მას შემდეგ მამაკაცს ხელები უკანკალებს, ხოლო ღამით საშინელი სიზმრები ტანჯავს.

ქალს ციხიდან გამოსასვლელი გზა აებნა

ამერიკის მისურის შტატის ქალაქ სენტ-ლუისში ქალმა ორ დღეზე მეტი დაჰყო ციხის გისოსებიან კიბეზე ჩაკეტილმა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მას საპატიმროში გზა აებნა.

სენტ-ლუისის გამოსასწორებელი დაწესებულების კომისარმა დეილ გლასმა განმარტა, რომ პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ ქალი შეეცადა ციხის შენობა დაეტოვებინა, მაგრამ გზა აებნა. მან შემთხვევით საევაკუაციო გასასვლელში გაიარა, რის გამოც ყველა სართულის კარი ჩაიკეტა.

მიუხედავად იმისა, რომ ქალი ყვიროდა, გამოსასწორებელი დაწესებულების თანამშრომლებმა მისი პოვნა ვერ შეძლეს, ვინაიდან ის ერთი კარიდან მეორეში გადადიოდა. პერსონალმა ვერ მოიფიქრა, რომ სახანძრო კიბე დაეთვალიერებინა.

გისოსებში გამომწყვდეული ქალი მხოლოდ ორი დღის შემდეგ ნახეს, როდესაც ის ერთ-ერთმა თანამშრომელმა შენიშნა. გლასის თქმით, ქალი არ დაშავებულა და საავადმყოფოში გადაყვანაზე უარი განაცხადა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

28 ივნისისთვის

აშშ დოლარი — 2.8791

ევრო — 3.2738

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6622

100 რუსული რუბლი — 4.5039

ამინდის პროგნოზი 28 ივნისისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

25 ივნისიდან

ჟიულ ვერნი

20 000 ლიე წყალქვეშ

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

18 ივნისიდან

ანე ფრანკი

თავშესაფარი

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

ანიტა რაჭველიშვილი: „რამდენს მოგვკლავთ, დაგვაბრმავებთ და დაგვასახიჩრებთ?“



კითხულობს ოპერის მომღერალი ანიტა რაჭველიშვილი და საპროტესტო აქციებს უერთდება:

– მეგობრებო, ეს შუბლძარღვგაწყვეტილი მთავრობა აპირებს, რომ დაგვაბრალოს პარტიულობა ყველას, ვინც მათ გავაკრიტიკებთ!

მათზე გაგიჟებულ ფანატიკოსებსაც არ ესმით, რომ სამშობლოს სიყვარული აპოლიტიკური და უპარტიოა!

რასაც სჩადიან 20 ივნისის ღამის მერე, არის ნაძირლების უსინდისო პარპაში და პუტინის მონა ბორიას ბრძანებებს ძალიან კარგად ასრულებენ!

ესენი უკან არ დაიხევენ, ამათ ნამუსი არ აქვთ! ტყუილად ვეღოდებით, რომ სამართალი იზეიმებს, თუ რაიმე არ მოვიმოქმედეთ!

მმართველი პარტია სამართალს თვითონ აღასრულებს ისე, როგორც უნდა!

ისტორიას დარჩებით „ქართული ოცნება“, როგორც ყველაზე ამაზრზენი, მოძალადე, რუსების მონა მთავრობა და ამას უკვე ვეღარ შეცვლით!

ომი დაიწყო! ამათ ომის გარეშე ვერ მოვუგებთ!

ყველა უნდა ვიდგეთ პარლამენტთან და, დაე, თვალიც დავკარგო და თუნდაც სიცოცხლე – მე მზად ვარ ამისთვის.

რამდენს მოგვკლავთ, დაგვაბრმავებთ და დაგვასახიჩრებთ? ყველას?

ჩვენ სამშობლო გვიყვარს და ვერავინ დაგვაკლებს ვერაფერს!

ეს ომია!

საქართველოსთვის! მომავლისთვის, სადაც მოძალადე და მოსყიდული პოლიტიკოსები აღარ იარსებებენ ჩვენს საკანონმდებლო ორგანოებში!

საქართველოსთვის!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

იუმორი

ერთი ქალი მეორეს უყვება:

– გუშინ შესანიშნავი სექსი მქონდა. ორივეს ისე მოგვეწონა, რომ რამდენიმეჯერ გავიმეორეთ.

– და ვინ იყო?

– განა იმდენად სულელი ვარ, მის ცოლს რომ ვუთხრა!

●●●

ძლიერი ნისლია. ქალი წინ მიმავალ მანქანას კვალდაკვალ მისდევს. უცბად წინა მანქანამ დაამუხრუჭა და ქალის მანქანა წინას უკნიდან შეასკდა. ქალი მანქანიდან გადმოხტა, მძღოლთან მიირბინა და ეუბნება:

– რა ჯანდაბად დაამუხრუჭეთ?!

– საკუთარ ავტოფარეხში შემოვედი და აბა რა უნდა მექნა?..

●●●

მასწავლებელი ჯენტლმენურად ქცევის წესებს ხსნის:

– კიბეზე მამაკაცი ყოველთვის ქალის წინ მიდის და აბა რომელი მეტყვის, რატომ? აბა, გიგი, მიპასუხე.

– იმიტომ, რომ ქალმა არ იცის, რომელ სართულზე ცხოვრობს მამაკაცი.

●●●

ზოომაღაზიაში ქალი გამყიდველს ეკითხება:

– რატომ ღირს ეს კუ 200 ლარი, მეორე კი – 300? ისინი ხომ აბსოლუტურად ერთნაირები არიან.

– ერთი 200 წელს იცხოვრებს თქვენთან, მეორე კი – 300 წელს.

– აჰა, გასაგებია...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ყაზაიშვილმა სან ხოსეში გოლების გატანა დაიწყო



სან ხოსეს ფორვარდმა ვაკო ყაზაიშვილმა ამ გუნდის შემადგენლობაში ბოლო 3 შეხვედრაში 5 გოლის გატანა შეძლო.

სან ხოსემ ბოლო მატჩი ჰიუსტონს მოუგო 2:0 და ორივე გოლი ყაზაიშვილმა გაიტანა.

ამ გამარჯვების შემდეგ სან ხოსემ სატურნირო ცხრილში მე-6 ადგილზე გადაინაცვლა. ყაზაიშვილის გარდა, სან ხოსეში გურამ კაშიაც თამაშობს და ორივე ფეხბურთელი გუნდის წამყვან მოთამაშედ ითვლება.

გვარდიოლა: „დავიდ სილვა ბოლო წლების ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია“

ხოსეპ გვარდიოლამ მანჩესტერ სიტის ნახევარმცველ დავიდ სილვაზე ისაუბრა და თქვა, რომ ეს ფეხბურთელი ბოლო წლების განმავლობაში მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა.

დავიდ სილვამ რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ მანჩესტერ სიტის დატოვებს და, გვარდიოლას აზრით, ეს ძალიან დიდი დანაკლისი იქნება:

– სამწუხაროა, რომ სილვა ჩვენთან აღარ ითამაშებს, მაგრამ მის გადაწყვეტილებას პატივს ვცემ და ბედნიერებას ვუსურვებ. დავიდ სილვა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა თავის პოზიციაზე და, ბუნებრივია, ეს ჩვენთვის დიდი დანაკლისი იქნება.

რივალდო: „ნეიმარი ბარსელონაში უნდა დაბრუნდეს“

ლეგენდარულმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა რივალდომ ნეიმარზე ისაუბრა და თქვა, რომ მისთვის ბარსელონაში დაბრუნება კარგი ვარიანტი იქნება. რივალდომ ასევე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ნეიმარმა ბარსელონის გულშემატკივარს ბოდიში უნდა მოუხადოს და მხოლოდ ამ შემთხვევაში მიიღებენ მას უკან:

– ვფიქრობ, ნეიმარმა პსჟ-ში რეგრესი განიცადა და ამიტომ ის სხვაგან უნდა წავიდეს. ბარსელონაში დაბრუნება კარგი ვარიანტი იქნება, მაგრამ ამისთვის მან ბოდიში უნდა მოუხადოს გულშემატკივარს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს ის სრულყოფილად დაბრუნებას.

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში; 2. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 3. ინდივიდუალური კომპიუტერი; 4. მარტის თვის ქართული სახელწოდება; 5. კურორტ ახალი ათონის ძველი სახელწოდება; 7. პატარა აივნიანი ხის სახლი ინდოეთში; 11. მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი ჟანრი; 12. მარწყვის ერთ-ერთი ჯიში; 13. სითბოს რაოდენობის საზომი ერთეული; 14. რამდენიმე ელექტროსადგური ერთ მდინარეზე; 15. ირლანდიური ლუდი; 17. ძლიერი სულიერი მღელვარების, განცდის გამოვლენა; 19. მარიონეტული თოჯინის სამართავი მოწყობილობა.

თარაზულად: 5. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 6. სამართლის რომელიმე დარგის კანონთა კრებული; 8. ფულის ერთეული იაპონიაში; 9. ნაყინის მწარმოებელი ქართული ფირმა; 10. ტექსტიდან უცვლელად, სიტყვასიტყვით მოყვანილი ფრაზა; 11. ფრანგული ვტომობილი; 13. ოფიციალური ცნობა საერთაშორისო მოლაპარაკების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ; 14. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 16. ცნობილი ესპანელი არქიტექტორი; 18. სახელდახელოდ შესრულებული ნახატი ან ნახაზი; 20. მდინარე დასავლეთ დვინის სახელწოდება ლატვიაში; 21. თეთრი ფერის ქართული სახელწოდება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

ჩან ჩან ვან + მა ინ ლონ

გამოიყენება ბუასილის სამკურნალოდ

ჯიან ჰი ვან

კუჭ-ნაწლავი, უმადობა იმუნიტეტი

ბუი ფუ დი ჰუანგ ვან + სუნ საო

აუმჯობესებს პოტენციას



ჩვენ გვჭირდება პიროვნება, რომელიც წამლების რეალიზაციას შეძლებს

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15
მობ. ტელ: 568-73-73-44
www.facebook.com/Boaigeorgia/